გაზეთი ბოლოს, „ბოლოს" ერთი

ვერსია

№11 (1553) 14 — 20 აპრილი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

„დაავადებათა კონტროლის ცენტრში მავნებლები არიან!"

გიორგი ფხაკაძის სკანდალური ინტერვიუ

კრემლის ჩაფლავებული სპეცოპერაცია — როგორ გადაარჩინეს ქართველებმა დედა ენა

14 აპრილის 43-წლიანი ქრონიკა

ფაშინიანმა არჩევნებში გამარჯვება ქართველ „კანონიერ ქურდს" სთხოვა

რომელი თანამდებობის პირები დახვდნენ ერევნის აეროპორტში ბადრი კოღუაშვილს

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ლიდერების „პერედოზიროვკა" ევროპულ საქართველოში

ლელა ქებურია: „გიგა ბოკერია უფრო მკაფიო იყო, დათო ბაქრაძე კი — უფრო რბილი და ნაკლებ გაბედული"

სკანდალი: რუსული სპეცსამსახურები აფხაზეთის ე.წ. საზღვარზე კედელს აშენებენ!

როგორ ინარჩუნებენ გალელი ქართველები იდენტობას — პაატა დავითაია უცნობ დეტალებს ასაჯაროვებს

რომან გოცირიძე: „ინვესტორები ქვეყნიდან გარბიან!"

ლარის რეკორდული გაუფასურების ანატომია — რას ეშმაკობს ეროვნული ბანკი და რა კავშირი აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს ეროვნული ვალუტის კურსსა და ფასებზე

სკანდალი: რუსული სპეცსამსახურები აფხაზეთის ე.წ. საზღვარზე კედელს აშენებენ!

როგორ ინარჩუნებენ გალელი ქართველები იდენტობას – პაატა დავითაია უცნობ დეტალებს ასაჯაროვებს

თათია გოჩაძე
598-43-50-34

7 აპრილს, გალში დატრიალებულმა ტრაგედიამ მთელი საქართველო შეძრა – ოთხი ადამიანი მდინარე ენგურში დაიხრჩო. ისინი, სავარაუდოდ, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას ცდილობდნენ, რა დროსაც, რუსი მესაზღვრეები ძაღლებით დაედევნენ. როგორც გალელები ამბობენ, პრობლემა პანდემიის გამო დაწესებულ ხუთდღიან კარანტინშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა გალელი, რომელიც ენგურის ხიდზე გადმოდის, ხუთი დღით კარანტინში მიჰყავთ, ამიტომ ოკუპირებული აფხაზეთიდან, ჩვენს თანამოქალაქეებს, ხიდის გვერდის ავლით გადმოსვლა უწევთ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობამ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის ხუთდღიანი კარანტინის მოხსნის შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიიღო. პარალელურად, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI) იუწყება, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში, რუსეთი „რბილ ძალას“ აძლიერებს. ასე, მაგალითად, მარტის ბოლოს, საჯარო სამსახურებში დასაქმებულებმა, სამი თვის განმავლობაში, დაგვიანებული ხელფასები მიიღეს. DRI-ის ცნობით, გასტუმრებულ დავალიანებას აფხაზეთში, რუსეთის ფედერაციის უკანონო საელჩოს წერილიც მიჰყვა, რომლითაც რუსეთის მთავრობის სახელით, გალის ქართულმა მოსახლეობამ მხარდაჭერისა და ზრუნვის პირობა მიიღო. წერილის მიხედვით, რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთის საჯარო უწყებების სახელფასო დავალიანების 93%-ის დაფარვა თავის თავზე აიღო. არასამთავრობო ორგანიზაციის ინფორმაციით, სიახლეს თან ახლავს შეხსენება, რომ რუსები „მეგობრები“ არიან.

გალში არსებულ ვითარებაზე, „ვერსია“ პარტია ევროპელი დემოკრატების ლიდერ პაატა დავითაიას ესაუბრა:

– გალის ტერიტორიაზე, რუსეთის ფედერაციის მხრიდან, ეს ახალი ქმედება არაა. დავიწყოთ იმით, რომ გალის მოსახლეობა მძევალია. არადა, გალის მოსახლეობა საქართველოსთვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და აფხაზეთის დაბრუნების პლაცდარმია! რუსებსა და აფხაზეთს ეს ძალიან კარგად ესმით და ჩაკეტეს ენგურის მთელი პერიმეტრი. ეს ძალიან დიდი ხეობაა და მათ გააკეთეს ბლოკპოსტები, გაავლეს მავთულხლართები, მოძრაობის დექტექტორები, გადასასვლელი ბილიკები, ასევე, პატარა ხიდები ააფეთქეს და გაწმინდეს. მხოლოდ ერთი – ენგურის ხიდია დარჩენილი და იქიდანაც რომ გადმოხვიდე, ნებართვა უნდა აიღო ე.წ. აფხაზეთის უშიშროებაში – სად, რატომ მიდიხარ და ა.შ. წარმოვიდგინოთ ადგილობრივი მოსახლე, რომელსაც უნდა გადმოსვლა, რის გამო გადმოდის? – დახმარებას იღებს, ფაქტობრივად, სიცოცხლისთვის უწევს ბრძოლა და ამიტომ, ეს გადმოსვლა პრინციპულია. ბევრი სტუდენტი მყავს გალიდან, რომელიც სასწავლებლად გადმოდის და მერე ბრუნდება. როცა თბილისშია, მშობლებს საკვები გადმოაქვთ ზუგდიდში და იქიდან სამარშრუტო ტაქსებით უგზავნიან. მოკლედ, ძალიან მძიმე სიტუაციაა.

– ამ ე.წ. ცნობის აღებას როგორ ახერხებენ?

– იქაურ უშიშროებაში. ისე კი არაა, რომ წახვიდე იუსტიციის სახლში, ფაქტობრივად, მიდიხარ მკვლელთან, მისგან იღებ ცნობას და არ იცი, რა დაგემართება ამ მომენტში. აქეთ რომ გადმოდის, ხვდება ხუთდღიანი კარანტინი ანუ წამლის საყიდლად რომ უნდოდეს გადმოსვლა, ერთ-ორ დღეს კარგავს ცნობის აღებაში, გადმოდის და ხუთი დღით კარანტინში რჩება, ერთი კვირა სჭირდება ყველაფერ ამისთვის. ამიტომ, მოსახლეობამ, ამ სიტუაციისგან თავის ასარიდებლად, ენგურზე გადმოსვლა დაიწყო. გამცილებლები არიან, რომლებმაც იციან, ნაღმები სადაა, ძაღლიანი მესაზღვრეები სად დადიან და იმ გზას არიდებენ. საკმაოდ რთული ხეობაა და ადამიანი შეიძლება, მდინარის შუამდე არც იყოს მისული, რომ უცებ წყალმა მოიმატოს და წაიღოს. მით უმეტეს, როცა ენგურის წყალსაცავი იხსნება.

ეს ტრაგედიაც იმიტომ მოხდა, რომ ადამიანები მოიპარებოდნენ საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიისკენ, ამ დროს, ძაღლებიანი რუსი მესაზღვრეები გამოედევნენ, ტყვედ რომ ჩავარდნილიუვნენ, ციხეში ჩასვამდნენ და რა დაემართებოდათ, არავინ იცის, ამიტომაც გადახტნენ წყალში და დაიხრჩვნენ. ესაა მათი ცხოვრება.

ამ ფონზე, როცა ხდება ჩაკეტვა, სეპარატისტები ცდილობენ, საკუთარი ტაქტიკა შეიმუშავონ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. მაგალითად, იქ მეგრული ტელევიზიაა. სასაცილოა, რასაც ვიტყვი, მაგრამ ეუბნებიან, რომ მეგრული ენა, აფხაზური ენის განშტოებაა.

– და ბავშვებს ამ მახინჯ ინფორმაციას აწვეთებენ, არა?

– ეს არ გამოსდით, რადგან ქართველები, საკუთარი იდენტობის შენარჩუნებას ცდილობენ, თუმცა მეორე მხარე ასეთ იდეოლოგიას ატარებს. მაქსიმალურად ცდილობენ, ამ ხალხს აქეთ მხარესთან კონტაქტი არ ჰქონდეს. აფხაზეთის უშიშროების საბჭომ, ფსბ-სთან ერთად განიხილა და დაამტკიცა, რომ კედელი უნდა აშენდეს. პანდემიამ შეუშალა ხელი, თორემ, ალბათ, უახლოეს მომავალში დაიწყებენ და გადასასვლელები აღარ იქნება.

– მთელ პერიმეტრზე აშენებენ დიდ გალავანს?

– დიახ! რაც ცხინვალის ტერიტორიაზე ხდება – მავთულხლართები, მოძრაობის დანაღმვა, ვიდეოთვალი... აფხაზეთში, კედლის აშენებას აპირებენ, თავისი მავთულხლართებით. ეს მხოლოდ მოსახლეობის გამო კი არ ხდება, 24 რუსული ბაზაა იქ, თავისი სკოლებით, საავადმყოფოებით, ეკლესიებით და ამიტომ, მათ უსაფრთხოების სერიოზული გარანტია სჭირდებათ.

– გასაგებია... ბატონო პაატა, ერთმნიშვნელოვნად შეგიძლიათ თქვათ, რომ გალელების მდგომარეობის შესამსუბუქებლად, ხუთდღიანი კარანტინი გასაუქმებელია?

– არა, ამის ერთმნიშვნელოვნად თქმა არ შემიძლია, თუმცა როდესაც პირველად გამოცხადდა კარანტინი საქართველოში, ადამიანები გადმოდიოდნენ და ვისაც კოვიდი უდასტურდებოდა, სასტუმროებში მიჰყავდათ. გამოსავალი არის მარტივი, გალიდან გადმოსულ ყველა ადამიანს აქვს დევნილის საბუთი, ამ ყველა მოწმობას აქვს ნომერი, იდენტიფიცირებულია. ამიტომ, ვინც გადმოდის ენგურის ხიდზე, მათთვის სწრაფი და PCR-ტესტის ჩატარებაა შესაძლებელი. თუ სწრაფი ტესტით ვირუსი დაუდასტურდება, გადაიყვანონ კარანტინში, ტექნიკურად თავისუფლად შეიძლება ამის გაკონტროლება. ტურისტები რომ შემოდიან საქართველოში, იგივე პრინციპი მოქმედებს. აქ კი საუბარია 40 000 ქართველზე, რომლებიც გალში ცხოვრობენ!

რეალურად, ქართული მოსახლეობა უფრო მეტია იქ, ვიდრე აფხაზები. ბჟანიამ გაიმარჯვა ქართული მოსახლეობის ხარჯზე. ამიტომ, ქართული მოსახლეობის პოზიცია ამ პოლიტიკური კლასისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია.

კრემლის ჩაფლავებული სპეცოპერაცია – როგორ გადაარჩინეს ქართველებმა დედა ენა

ნინო დოლიძე

14 აპრილის 43-წლიანი ქრონიკა

მაშინ ორი წლის ვიყავი და, ცხადია, არაფერი მახსოვს, მაგრამ მერე, დრო რომ გავა, იმდროინდელი მოვლენების მონაწილეებს გავიცნობ და 1978 წლის 14 აპრილის „საიდუმლოსაც“ ამოვხსნი. ზოგადად, ეს „საიდუმლო“ დღეს უკვე ყველასთვის ნათელია – 43 წლის წინ, „დედა რუსეთი“ შეეცადა, მამულწართმეული ქართველებისთვის ენაც წაერთმია. კრემლში, ალბათ, არ ელოდნენ, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილები საკუთარ ენას კბილებით დაიცავდნენ, მაგრამ როცა ქუჩაში უამრავი ადამიანი გამოვიდა, ბოლშევიკების წითელი „ბუნაგი“ იძულებული გახდა, უკან დაეხია. ჰო, მაშინ ქართველებმა სასწაული ერთიანობა და ერთად დგომა აჩვენეს. დღეს?.. – ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს და ამიტომ, მოდით, 43 წლის წინანდელი მოვლენები გავიხსენოთ.

მოკლედ, 1978 წელს, საბჭოთა ბელადებმა გადაწყვიტეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკებში, ადგილობრივი ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსი გაეუქმებინათ და მთელ სსრკ-ში, სახელმწიფო ენა რუსული გამხდარიყო.

ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების შემდეგ, საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ შეიმუშავა კონსტიტუციის გეგმა, რომელშიც 1936 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით, ქართული სახელმწიფო ენად უკვე აღარ იყო გამოცხადებული... თბილისში მასობრივი გამოსვლები დაიწყო და თანდათან, ვითარება უმართავი ხდებოდა. ამიტომ, საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი, ედუარდ შევარდნაძე იძულებული ხდება, ხალხთან გავიდეს. სხვათა შორის, ცხონებულ შევარდნაძეს, კრიტიკულ ვითარებაში მსგავსი ნაბიჯების გადადგმა სჩვეოდა...

ერთი სიტყვით, კრემლი აცნობიერებს, რომ მხოლოდ ორი გამოსავალია – სისხლისღვრა, ან დათმობა. „მოსკოვები“ მეორე გზას ირჩევს და უკან იხევს. მერე, დრო რომ გავა, ედუარდ შევარდნაძეს, 1978 წლის 14 აპრილის მოვლენები ერთგვარ აქტივში ჩაეწერება. ყოველ შემთხვევაში, 90-იანებში, სამოქალაქო ომის პარალელურად, საქართველოში დაბრუნებული ამბროსოვიჩის მხარდამჭერები მის პატრიოტიზმზე საუბრისას, სწორედ 14 აპრილს იხსენებდნენ...

სხვათა შორის, 1978 წლის 14 აპრილის მოვლენები საბჭოთა „რკინის ფარდას“ გასცდა, რაც იმას ნიშნავს, რომ დასავლური მედია ქართველების ერთსულოვნებაზე ბევრს საუბრობდა.

აი, მაგალითად, 1978 წლის 15 აპრილს, New York Times-მა გამოაქვეყნა სტატია – **„საბჭოთა ქართველები ქუჩებში გავიდნენ, საკუთარი სახელმწიფო ენის გადასარჩენად“**, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მომიტინგეთა რაოდენობა 20 ათასს უტოლდებოდა. სტატიაში, ასევე, ეწერა, რომ წინა ღამით, უცნობმა მამაკაცმა დარეკა New York Times-ის მოსკოვის ბიუროში და თქვა:

– ენასთან დაკავშირებით, კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, დემონსტრაციას ვმართავთ! გაგვიმართლებს, თუ არ გვესვრიან“.

New York Times-მა, 18 აპრილს, გამოაქვეყნა კიდევ ერთი სტატია – „საბჭოთა ქართველებმა გაიმარჯვეს ენის საკითხზე“, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება მისთვის უჩვეული დათმობაზე წავიდა და ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი შეუნარჩუნა.

მომხდარს The Times-იც გამოეხმაურა, რომელმაც 17 აპრილს, სტატია გამოაქვეყნა. სტატიის მიხედვით, ორი ამერიკელი იურისტი – რობერ მაკკეი და ერიკ რაიმენი, რომლებიც იმ დროს თბილისში იმყოფებოდნენ, იუწყებოდნენ, რომ ქართველმა დემონსტრანტებმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველ მდივანს, ედუარდ შევარდნაძეს დაუყვირეს, როდესაც ის მომიტინგეების დამშვიდებას ცდილობდა. როგორც სტატიაში იყო აღნიშნული, მაკკეი და რაიმენი დემონსტრაციის თვითმხილველებს ესაუბრნენ. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, შევარდნაძემ მომიტინგეებს ამ ტექსტით მიმართა:

– ჩემო ბავშვებო, რას აკეთებთ?

– ჩვენ შენი ბავშვები არ ვართ! – უყვირეს მომიტინგეებმა შევარდნაძეს.

მერე, დრო რომ გავა, შევარდნაძე იტყვის, რომ საბჭოთა რესპულიკებში, სახელმწიფო ენად რუსულის გამოცხადების იდეის ავტორი, საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი და ბრეჟნევის თეორეტიკოსი, მიხეილ სუსლოვი იყო. შევარდნაძე იმასაც იტყვის, რომ სუსლოვს განუმარტა, საქართველოში ამ იდეის რეალიზაცია სერიოზულ მღელვარებას გამოიწვევსო, მაგრამ...

– კონსტიტუციაში შევა ჩანაწერი, რომ პარტია იზრუნებს მშობლიური ენების განვითარებაზე, სახელმწიფო ენად კი რუსული გამოცხადდება, – მიუგო სუსლოვმა...

ამბობენ, რომ მაშინ შევარდნაძე ბრეჟნევსაც შეხვდა, რომელიც დაპირდა, რომ ვითარების გართულების შემთხვევაში, საქმეში ჩაერეოდა.

„დავბრუნდი და პირადად მე მოვახდინე ინიცირება კონსტიტუციის პროექტის შესწავლის“, – გაიხსენა „რადიო თავისუფლებასთან“ შევარდნაძემ და დასძინა, რომ მის ინიციატივას პირველები, მწერლები გამოეხმაურნენ. მათ შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც არ მიიჩნევდნენ დამღუპველად ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მოხსნას, თუკი სუსლოვის დაპირებისამებრ, კონსტიტუციაში ჩაიწერებოდა, რომ პარტია იზრუნებდა ქართული ენის განვითარებაზე.

„10 საათისთვის, თითქოს შადრევანმა ამოხეთქაო, აქ, ზემელზე, შეიკრა უნივერსიტეტიდან წამოსული ხალხი, პოლიტექნიკურიდან და ზემოდან, კონსერვატორიიდან, შეკრებილი ხალხი და ეს ხალხი უცბად იქცა მდინარედ“, – წლების მერე, ასე გაიხსენებს 14 აპრილის მოვლენებს ერთ-ერთი აქტივისტი.

ედუარდ შებარდანაძე: „უკვე მესმოდა: „დედა ენა! დედა ენა!“ მაშინ მე თავი გავწირე, გამოვაცხადე, რომ მივიღეთ გადაწყვეტილება ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის შენარჩუნების შესახებ. მიკროფონი ხომ ჩართული იყო, მაგრამ ბავშვებს ეს არ სჯეროდათ“.

აქციის აქტიური მონაწილე იყო თამარ ჩხეიძე... იმდენად აქტიური, რომ კგბ-ს წარმომადგენლებმა, მის სახლში ჩხრეკა 14 აპრილამდე ჩაატარეს... 43 წლის წინანდელ მოვლენებს, „რადიო თავისუფლებასთან“, თამარ ჩხეიძე ასე გაიხსენებს:

„თუკი, ზოგადად, ასეთი რამ არ ჩანდა და შეშინებული იყო საზოგადოება, დადგა მომენტი, როცა შიში განაგდეს და გონივრულად განახორციელეს ეს აქცია და მიიღეს კიდეც შედეგი და ეს შედეგი გავრცელდა სხვა რესპუბლიკებზეც“.

1990 წელს, ქართველი ხალხის მიერ, 1978 წელს მოპოვებული გამარჯვების აღსანიშვანავად და უკვდავსაყოფად, 14 აპრილი, დედა ენის დღედ გამოცხადდა.

დღესაც 14 აპრილია – დღე, როდესაც საქართველოს მოსახლეობამ მტერს კიდევ ერთხელ დაანახა, რომ ენას, მამულსა და სარწმუნოებას არასოდეს დაუთმობს!

ია გრიგალაშვილი

უმწვავესი რეალობა – საქართველოში 12 431 ბავშვი უფასო სასადილოში იკვებება

რამდენი ასეულ ათასი ადამიანი იღებს საარსებო შემწეობას და რა უჯდება სახელმწიფოს ერთი უმწეოს ყოველდღიური გამოკვება

საქართველოში 12 431 ბავშვი უფასო სასადილოს საკვებით იკვებება – ამ თემაზე კვლევა „სტრატეგია აღმაშენებლის“ სოციალური მიმართულების ხელმძღვანელმა, თეონა ჭალიძემ ჩაატარა. „უფასო სასადილოს მენიუ ბავშვებზე არაა მორგებული – საკვებში მოზარდებისთვის საჭირო პროდუქტი არ არის გათვალისწინებული“, – აცხადებს ჭალიძე.

ამასთან, ირკვევა, რომ საქართველოს დღემდე არ გააჩნია ბავშვების სოციალური დაცვის გამართული სისტემა და მათი ოჯახების დახმარების სტრატეგია. არადა, სახელმწიფოსთვის პრიორიტეტი ოჯახი და მასზე ზრუნვა უნდა იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყანაში რთული ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობაა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში შობადობის შემცირება, უმეტესად, ოჯახების ფინანსურ გაჭირვებას უკავშირდება – მშობლები ვერ ახერხებენ, შვილები აუცილებელი საკვები პროდუქტებითა და მოვლის საშუალებებით უზრუნველჰყონ.

ბავშვებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჯანსაღი კვებაა, რადგან ეს, პირდაპირ, მათ ზრდა-განვითარებაზე აისახება.

არასრულფასოვანმა და არაჯანსაღმა კვებამ, შესაძლოა, ბავშვებში სხვადასხვა დაავადები გამოიწვიოს.

„დღეს, სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ადამიანები და მათი შვილები უფასო სასადილოს საკვებით სარგებლობენ. სასადილოებში, სხვადასხვა სახის საკვებს ულუფებით იღებენ. ზოგიერთი მათგანი ადგილზე იკვებება, უმეტესობას კი საჭმელი შინ მიაქვს, თუმცა აღნიშნული საკვები, ხშირად, უვარგისი და უგემურია, ბავშვებისთვის კი – მიუღებელი. ბენეფიციარები განსაკუთრებით უკმაყოფილებას წვნიან საკვებზე გამოთქვამენ“, – ამბობს თეონა ჭალიძე.

„ვერსია“ ერთ-ერთ ქალბატონს ესაუბრა, რომელიც უკიდურესი სიღარიბის ზღვარზე იმყოფება და ყოველდღიურად, უფასო სასადილოს საკვებით სარგებლობს:

„მყავს ორი შვილი – 11 წლის გოგო და 14 წლის ბიჭი. ამჟამად, გლდანის რაიონში ვცხოვრობ, შვილებსა და დისშვილთან ერთად, რომელსაც მშობლები გარდაეცვალა და მე ვპატრონობ. ჩვენი საცხოვრებელია ვაგონი, სადაც გაუსაძლისია არსებობა. ყოველდღიურად, უფასო სასადილოს საკვებს ვიღებ, რადგან სხვა გზა არ მაქვს. ხშირად, ჩემი შვილები უარს ამბობენ ამ საკვებზე, რადგან ძალიან უგემურია, განსაკუთრებით, წყალ-წყალაა წვნიანები. პური იმდენად უვარგისია, ჭამის შემდეგ, კუჭის ტკივილს იწვევს. ბავშვებისთვის ამ პურისა და საკვების მიღება არ შეიძლება, მაგრამ რა ვქნა? ახლა დასაქმებული ვარ, თუმცა ძალიან ცოტა შემოსავალი მაქვს, რაც არსებობაში გვეხმარება და ამ მცირედი ანაზღაურებით ვცდილობ, დამატებითი საკვები შევიძინო ბავშვებისთვის. მე კი სასადილოს საკვებს მივირთმევ, რაც უნდა უგემური იყოს, მაგრამ ბავშვებს ვერ ვაძალებ... საკვებს თავი რომ დავანებოთ, ბავშვებს სხვა ბევრი რამე სჭირდებათ“.

* * *

„სტრატეგია აღმაშენებლის“ სოციალური მიმართულების ხელმძღვანელი, თეონა ჭალიძე, წლებია, უფასო სასადილოების საკითხზე მუშაობს. მისი თქმით, საკვებზე ხელმისაწვდომობა აუცილებელია, რათა ხალხი არ შიმშილობდეს:

– ჩვენს ქვეყანას ნამდვილად აქვს იმის რესურსი, რომ ადამიანებს მიაწოდოს ელემენტარული საბაზისო საკვები, თუმცა საჭმლის ხარისხი ისეთი არაა, როგორიც უნდა იყოს. დღეის მდგომარეობით, 1.29 ლარია გამოყოფილი ერთ ბენეფიციარზე. აქედან, 0.29 ლარი მიდის პურზე, 1.00 ლარი კი განაწილებულია არა მხოლოდ პროდუქტზე, არამედ, მომსახურე პერსონალის ანაზღაურებაზე, სასადილოების ფართის ქირაზე, კომუნალურ გადასახადებსა და სხვა საჭირო რესურსებზე. აქედან გამომდინარე, დასკვნის გაკეთება მარტივია, თუ რა ხარისხის საკვები პროდუქტია წარმოდგენილი სასადილოებში.

– არის თუ არა უფასო სასადილოს საკვები ბავშვებზე გათვლილი?

– ბავშვებისთვის კი არა, უფროსებისთვისაც არაა მსგავსი კვება მისაღები. საბავშვო ბაღებში, ერთ ბავშვზე დღიური საკვები თანხა 3.65 ლარია, უფასო სასადილოში კი – 1.29 ლარი. ზედმეტი დაკვირვების გარეშეც მარტივი მისახვედრია, რამხელა დისბალანსთან გვაქვს საქმე. ბაღის ასაკის ბავშვებიც არიან რიგ სასადილოებში რეგისტრირებულნი, მაგრამ ეს ბავშვები საბავშვო ბაღებშიც იკვებებიან. მათზე ცუდ მდგომარეობაში სკოლის ასაკის მოზარდები არიან და ისინი მხოლოდ უფასო სასადილოს 1.29-ლარიან საკვებზე არიან დამოკიდებულნი.

რა თქმა უნდა, აუცილებელი და შესაძლებელია, რომ ბავშვებისთვის იყოს გათვალისწინებული და არსებობდეს მათზე მორგებული მენიუ, თუნდაც დამატებითი პროდუქტი ან ულუფა. ამისთვის საჭიროა, რომ ამ საკითხზე იმუშაოს შესაბამისმა ორგანოებმა და სპეციალისტებმა. ყველაზე მთავარი კი ნება და მთავრობის ინიციატივაა, რათა არსებული ხარვეზები გამოსწორდეს.

– საკვების ხარისხის შემოწმების მოთხოვნით, რომელიმე სახელმწიფო უწყებისთვის მიგიმართავთ?

– თანხის გაზრდას ვითხოვდით და პეტიციაც შევადგინეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, არ იქნა გათვალისწინებული. მერია არ ასაჯაროებს ინფორმაციას უფასო სასადილოს მომსახურების პროგრამის მსურველთა რაოდენობის შესახებ. ბოლო ერთი წლის მანძილზე, უკვე მეორედ გამოვითხოვე ეს ინფორმაცია, თუმცა მალავენ. ეჭვი მაქვს, რომ მომლოდინეთა რაოდენობა საკმაოდ გაზრდილია მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. ბოლოს, როდესაც გამოვითხოვე ეს ინფორმაცია, 7 000-ზე მეტი ადამიანი იყო რიგში, მაგრამ ეს იყო პანდემიის დაწყებამდე. მერე ბაზას 100 000 სოციალურად დაუცველი დაემატა. ბოლო მონაცემებით, 532 000-ზე მეტი პირია საარსებო შემწეობის მიმღები, რაც იმას ნიშნავს, რომ თავისთავად გაიზრდებოდა მოთხოვნა სასადილოების მომსახურებაზე.

P.S. „ვერსია“ თბილისის მერიასაც დაუკავშირდა, სადაც განაცხადეს, რომ არსებული მენიუ არ არის გათვალისწინებული ბავშვებისთვის და ეს საკითხი მათ კომპეტენციას სცდება. ასევე, გვითხრეს, რომ ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხებს, ჯანდაცვის სამინისტროში მივიღებდით. ჯანდაცვის სამინისტროში კი კომიკურ ვითარებაში აღმოვჩნდით – უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ჯერ გვითხრა, რომ ამ საკითხს გაარკვევდა, ორ წუთში კი მოკლე ტექსტური შეტყობინება გამოგვიგზავნა, მერიას მიმართეთო.

მოკლედ, ჩვეულებრივი „ცისფერი მთებია“...

ლიდერების „პერედოზიროვკა“ ევროპულ საქართველოში

ლელა ქებურია: „გიგა ბოკერია უფრო მკაფიო იყო, დათო ბაქრაძე კი – უფრო რბილი და ნაკლებ გაბედული“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ევროპულ საქართველოში მნიშვნელოვანი ცვლილებებია – პარტია რამდენიმე ლიდერმა, კერძოდ, დავით ბაქრაძემ, გიგი უგულავამ, გივი თარგამაძემ, ლევან თარხნიშვილმა და გოკა გაბაშვილმა დატოვა. ისინი პოლიტიკაში აქტიურად დარჩებიან, მაგრამ არ აპირებენ პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებას ევროპულ საქართველოსთან ერთად. რაც შეეხება ირმა ნადირაშვილსა და ზურაბ ჭიაბერაშვილს, მედიის ინფორმაციით, პროფესიულ ასპარეზზე ინაცვლებენ, თუმცა პარტიულ აქტივისტებად რჩებიან. „ვერსია“ ირმა ნადირაშვილს დაუკავშირდა კითხვით – უბრუნდება თუ არა ჟურნალისტიკას და რომელიმე ტელევიზიაში ხომ არ აპირებს საქმიანობის გაგრძელებას, ნადირაშვილი გვპასუხობს: *„არსად გამიკეთებია მსგავსი განცხადება. არ მესმის, რას გულისხმობთ. პოლიტიკას ჩემს პროფესიად ვთვლი“.* ევროპული საქართველოს ყოფილ ლიდერს, ასევე, ვკითხეთ, ხომ არ აპირებს ახალი პარტიის შექმნას ან რომელიმე პარტიაში გაწევრიანებას, რაზეც გვპასუხობს, რომ ასეთი გეგმა არ აქვს. ჩვენი კითხვა – რჩება თუ არა უპარტიო პოლიტიკოსად, ნადირაშვილმა უპასუხოდ დატოვა. ევროპულ საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე, „ვერსიამ“ ინტერვიუ პარტიის პოლიტსაბჭოს წევრ ლელა ქებურიასთან ჩაწერა:

– ქალბატონო ლელა, თქვენ რა გადაწყვეტილება მიიღეთ, პარტიაში რჩებით?

– დიახ, ვრჩები, ვარ პოლიტსაბჭოსა და სამდივნოს წევრი.

– რამდენიმე ლიდერმა დატოვა პარტია, სერგი კაპანაძემ კი – პოლიტსაბჭო. რა ხდება, რამ გამოიწვია ასეთი რყევები?

– სერგიმ, უბრალოდ, პარტიულ თანამდებობაზე თქვა უარი, თორემ პარტიის წევრად რჩება.

– გასაგებია, მაგრამ თქვენი პარტია, პრაქტიკულად, დაიშალა და საინტერესოა, რა გახდა ამის მიზეზი?

– „პარტია დაიშალა“ ცოტა არაკორექტული ნათქვამია იმიტომ, რომ ევროპული საქართველო იყო პარტია, რომელსაც ლიდერების „პერედოზი“ ჰქონდა (იცინის). პარტიაში დარჩნენ არანაკლებ გამოცდილი ლიდერები.

რაც შეეხება ხედვას, დათო ბაქრაძე და გიგი უგულავა თვლიდნენ, რომ იმ შედეგთან დაკავშირებით, რაც დადგა, პარტიას სჭირდება სხვა მიმართულება. მათ ჩათვალეს, რომ ეს იყო მათი პასუხისმგებლობა და უნდა მომხდარიყო ჩანაცვლება სხვა ლიდერებით. ლიდერი რომ უნდა იყოს პასუხისმგებლიანი და პარტია განახლებადი, ამაში, რა თქმა უნდა, ვეთანხმები, მაგრამ განახლების გეგმა როგორია, ან ამ არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაში არის თუ არა პასუხისმგებლობა, რომ პარტიას ჩამოშორდე, ამასთან დაკავშირებით, შეიძლება, განსხვავებული ხედვა გვქონდეს, თუმცა დათოს და გიგის აზრს პარტიაში პატივს ვცემთ. დარწმუნებული ვარ, ისინიც პატივს სცემენ ჩვენს გადაწყვეტილებას და რჩებიან ჩვენს გულშემატკივრებად.

რაც შეეხება გიგა ბოკერიას, მან ჩათვალა, რომ არსებული პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, ასეთი მნიშვნელოვანი ლიდერების ჩამოცილება პარტიიდან, პირიქით, დამაზიანებელი იქნებოდა, მით უმეტეს მაშინ, როცა ძალიან დიდი ძალისხმევა, შრომა გვმართებს ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან. არავისთვის დასამალი არაა, რომ გიგა თამაშობს, ფაქტობრივად, გადამწყვეტ როლს საერთაშორისო პარტნიორებთან მოლაპარაკების პროცესში. ამიტომ ეს უპირატესობა, რომელიც ევროპულ საქართველოს აქვს, ახლა ყველაზე მეტადაა გამოსაყენებელი და არა – უკანა პლანზე გადასაწევი.

შეიძლება, გამეზიარებინა კიდეც წასული ლიდერების პოზიცია განახლებასთან დაკავშირებით, თუ ისინი ამის კონკრეტულ გეგმას წარმოადგენდნენ. სიტყვები – „განახლება“, „ახალი ლიდერი“ ძალიან კარგად ჟღერს, უბრალოდ, ლიდერები ხელოვნურად არ იქმნებიან, არამედ, თავისით იბადებიან. გიგა, დათო და გიგი, თავის დროზე, ვიღაცას არ „გამოუძერწავს“, თვითონ ჩამოყალიბდნენ ლიდერებად, ამიტომ თუ ვინმეს ექნება სურვილი, ლიდერის როლი აიღოს, რა თქმა უნდა, ამაში დაბრკოლება პარტიის შიგნით არ ექნება. ეს იქნება თავისთავადი პროცესი.

– ქალბატონო ლელა, იყო თუ არა ლიდერების წასვლის მიზეზი გიგა ბოკერიას ფაქტორი? საუბარია, რომ ბოკერია იყო პრობლემა, რის გამოც უგულავამ და ბაქრაძემ პარტია დატოვეს...

– ასე ვერ ვიტყოდი, დათომ და გიგიმ ეს გადაწყვეტილება ერთი თვის წინ მიიღეს, უბრალოდ, ფორმალურად მოხდა ეს ყრილობაზე, რასაც პროცესუალური გამყარება სჭირდებოდა. პარტიის გარკვეულმა ნაწილმა ჩათვალა, რომ პარტიის შედეგებზე იღებენ პასუხისმგებლობას და ამას ხედავენ გვერდზე გაწევით, ჩათვალეს, რომ ლიდერობით წარმოადგენენ პრობლემას პარტიისთვის. გიგა ასე არ ფიქრობს, მას მიაჩნია, რომ ამ მომენტისთვის უნდა იყოს პარტიაში და მისი რესურსი პარტიაში უნდა იქნეს გამოყენებული. დრო გვიჩვენებს, რომელმა მიიღო სწორი გადაწყვეტილება. მიმაჩნია, ევროპული საქართველოს პრობლემა ის იყო, რომ ზოგ შემთხვევაში, არ ვიყავით საკმარისად გაბედულები და გვაკლდა სიცხადე, რადგან სამი ტიპის განსხვავებული ლიდერი იყო პარტიაში მაქსიმალურად მიახლოებული ხედვებით, თუმცა იყო საკითხები, სადაც გიგა ბოკერია უფრო მკაფიო იყო, მაგალითად, დათო ბაქრაძე კი შეიძლება, ყოფილიყო უფრო რბილი და ნაკლებ გაბედული. შესაბამისად, ამ სიცხადის არქონამ პარტიაში, რაღაც ტიპის მერყეობა გამოიწვია ჩვენს პოტენციურ ამომრჩეველში.

ვფიქრობ, ამ პრობლემებზე უფრო ფუნდამენტურად ვიმუშავებთ და დიდი იმედი მაქვს, ეს ცვლილება განაპირობებს ევროპული საქართველოს მკაფიო ადგილს ქართულ პოლიტიკაში.

– თქვენი ექსთანაგუნდელები ცალკე პარტიას ხომ არ ქმნიან?

– გიგიმ განაცხადა, რომ რჩება უპარტიო პოლიტიკოსად და მიმაჩნია, რომ ამ ლიდერების სიტყვას, მიუხედავად იმისა, რა გადაწყვეტილებაც მიიღეს, პოლიტიკაში აქვს ფასი და არ ვფიქრობ, რომ იმის მიღმა, რაც ილაპარაკეს, კიდევ რაღაც არსებობს. მათ განაცხადეს, რომ აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას განაგრძობენ უპარტიოდ და წარმატებას ვუსურვებ მათ.

„დაავადებათა კონტროლის ცენტრში მავნებლები არიან!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

გიორგი ფხაკაძის სკანდალური ინტერვიუ

ბოლო მონაცემებით, საქართველოში, კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინით 20 622 ადამიანია აცრილი. ვაქცინირებულთა არასახარბიელო რაოდენობის ფონზე, მსოფლიო მედიით ვრცელდება სტატიები, რომ ჩინური ვაქცინები მაღალეფექტური არ გამოდგა. საქართველო კი ერთ-ერთი ქვეყანაა, სადაც ჩინური ვაქცინა შემოვიდა. დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელის, ამირან გამყრელიძის განცხადებით, საერთაშორისო ბაზარზე, ორი ჩინური ვაქცინაა – „სინოფარმი“ და „სინოვაკი“. ორივე, ჩინეთის მარეგულირებლისა და 40-მდე ქვეყნის მიერაა ავტორიზებული: „განცხადება, რაც გუშინ გაკეთდა არა „სინოფარმს“, არამედ, „სინოვაკს“ ეხებოდა, რომელიც ფართოდ გამოიყენება ჩინეთში, თურქეთსა და აზერბაიჯანში. „სინოვაკი“ შეისყიდა ბრაზილიამ, ჩილემ. ამ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ყველა ვაქცინა გამოიყენება გადაუდებელი მდგომარეობის დროს, პანდემია გადაუდებელი მდგომარეობაა. მათი დაცვის ეფექტურობა სხვადასხვაა, ჯანმო როცა აძლევს გადაუდებელი მოხმარების ნებართვას, აქვს 50%-იანი ზღვარი. თუ ვაქცინას აქვს 50%-ზე მეტი ეფექტურობა, მისი დაშვება ბაზარზე შესაძლებელია... ყველა ვაქცინას, რომელიც გამოიყენება მსოფლიო ბაზარზე, აქვს ძალიან მაღალი დაცვის ეფექტი კოვიდის მიერ გართულებებზე და სიკვდილიანობაზე ანუ თითქმის 100%-მდე ამცირებენ სიკვდილიანობას და ალბათობას, რომ დაავადებული ადამიანები მოხვდნენ ჰოსპიტლებში. ამ ჩინური ვაქცინების ეფექტიანობა მერყეობს 60%-დან 89%-ის ფარგლებში. „სინოფარმის“ ეფექტიანობის ალბათობა 79%-დან 86%-ის ფარგლებშია“.

ვაქცინაციასთან დაკავშირებით, კომპეტენტური ინფორმაციისთვის, „ვერსია“ ჯანდაცვის ექსპერტს, გაერო-ს გენერალური მდივნის მრჩეველს ჯანდაცვის საკითხებში, გიორგი ფხაკაძეს ესაუბრა.

ფხაკაძის თქმით, ჩინურ ვაქცინასათან დაკავშირებით, ინფორმაცია საქართველოში, თავად გაავრცელა:

„ყოველთვის ზუსტ ინფორმაციას ვავრცელებ ყველა ვაქცინასთან დაკავშირებით, რადგან ყველაფერი, რაზეც ვსაუბრობ, დაფუძნებულია კონკრეტულ წყაროებზე. მეტი ინფორმაცია მაქვს, მაგრამ საჯაროდ მხოლოდ იმას ვავრცელებ, რომელიც შეიძლება, გავრცელებული იყოს ფართო საზოგადოებისთვის. ზოგჯერ ვცდილობ, წინასწარ შევატყობინო ჩემს მეგობრებს, რომ ფრთხილად ვიყოთ, მაგრამ არავინ მისმენს. როცა საქართველოში, „ასტრაზენეკას“ ვაქცინაცია დაიწყო, ლამის გადმოვხტი ეკრანიდან, შეაჩერეთ-მეთქი, რადგან გარკვეული საკითხები გასარკვევი იყო, მაგრამ ვინ დაგიჯერა?! ყველა ვაქცინა, რომელიც რეგისტრირებულია, დროებითი მოხმარებისაა და არ არის საბოლოოდ დამტკიცებული. ამასთან, არსებობს ძლიერი მარეგულირებლები: ჯანმო, ევროპის სააგენტო, საფრანგეთი და გერმანია. პირველი იყო მსოფლიოში საფრანგეთი, რომელმაც შეაჩერა „ასტრაზენეკას“ გამოყენება 55 წლის ქვემოთ, გერმანია კი 60 წლის ქვემოთ აღარ იყენებს ამ ვაქცინას. ეს ნიშნავს, რომ ძლიერი მარეგულირებელია, ფიქრობს ადამიანებზე და პატარა პრობლემასაც კი ყურადღებით ეპყრობა. ჯანმო-ს მიერ დარეგისტრირებულია „ფაიზერი“, „ასტრაზენეკა“, „ჯონსონ & ჯონსონი“. ევროკავშირის მიერ რეგისტრირებულია ეს სამივე და, პლუს, „მოდერნა“. აშშ-ში, „ასტრაზენეკა“ არ არის რეგისტრირებული, მხოლოდ „ფაიზერი“, „ჯონსონ & ჯონსონი“ და „მოდერნაა“. ჩვენი კორიფეები რომ გამოდიან და საუბრობენ, მათ მაგივრად მრცხვენია. მიმტკიცებენ, წამალი „რემდისევირი“ რომ ჩამოიტანეს საქართველოში, FDA-ის მიერ არის რეგისტრირებულიო. თუ ასეა, ბოდიში, მაგრამ „ასტრაზენეკა“ არ არის FDA-ის მიერ და რატომ ვიყენებთ? საკუთარ თავს ეწინააღმდეგებიან“.

გიორგი ფხაკაძე ხაზს უსვამს, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები არ გააჩნია, ამიტომ საჭიროა, ზემოხსენებულ ოთხ ძლიერ მარეგულირებელს ვუყუროთ. ჩინურ ვაქცინას კი, ფხაკაძის განმარტებით, არც ერთი ძლიერი მარეგულირებლისგან თანხმობა არ მიუღია:

„იმიტომაა საშიში რუსული, ჩინური, კუბური, ირანული და სხვა ასეთი ვაქცინები, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავაკეთოთ, რაც გავაკეთეთ. ჩამოვიტანეთ ვაქცინა, რომლის ეფექტურობა არც ერთი საერთაშორისო ექსპერტის მიერ არ არის აღიარებული. ასეთი ვაქცინის ყიდვა, ერთი მხრივ, მისაღებია, რადგან ჯანმო-ში 15 ვაქცინაა, რომელთა შემქმნელებმაც გააკეთეს განაცხადი აკრედიტაციის გასავლელად. ყველა მათგანთან უნდა გვქონდეს მოლაპარაკება, რადგან პოტენციურად კარგი ვაქცინებია. ეს ჩინური ვაქცინაც ამ სიაშია, შეიძლება იყიდო და შეინახო მაცივარში, მაგრამ გამოვიყენოთ მაშინ, როცა მიიღებს თანხმობას ძლიერი მარეგულირებლისგან. ვაქცინა ისეთი რამაა, რომ ეფექტურ ვაქცინაზე, შეიძლება, ხვალ გამოცხადდეს, რაღაც მოხდა და სასწრაფოდ შესაჩერებელიაო. საერთოდ, ვაქცინის შეჩერება კარგია, რადგან ეს ნიშნავს, რომ ყურადღებით ეკიდებიან პატარა პობლემასაც კი. ძლიერი მარეგულირებელი იმითაა კარგი, რომ შეგვიძლია, მშვიდად დავიძინოთ, რადგან ვიღაც მუშაობს ჩვენს სასარგებლოდ“.

ჯანდაცვის ექსპერტს ვკითხეთ, რა მიზეზებით იქმნება მსოფლიო ბაზარზე დეფიციტი ისეთ მოთხოვნად ვაქცინაზე, როგორიც, მაგალითად, „ფაიზერია“ და რატომ ვერ აწარმოებს მოთხოვნის ადეკვატურ რაოდენობას აღნიშნული მწარმოებელი? გიორგი ფხაკაძე განმარტავს, რომ „ფაიზერის“ ყველა ვაქცინა უკვე გაყიდულია:

„რთული პროცესია, „ფაიზერს“ ახალი ტექნოლოგია აქვს და ყველა ქარხანა ვერ გამოუშვებს ამ ვაქცინას. ზოგადად, ვაქცინები ათი, სხვადასხვა ტექნოლოგიით მზადდება. „ასტრაზენეკას“ ქარხანაში, „ფაიზერის“ ვაქცინა ვერ გაკეთდება და პირიქით. „ფაიზერმა“ ბელგიაში დიდი რესურსები ჩადო, რომ გაეძლიერებინა ქარხანა, მაგრამ ყველაფერს აქვს ლიმიტი. ღუმელთან რომ დაგაყენოთ და გითხრათ, ერთ საათში, 200 ხაჭაპური გააკეთეო, ხომ ვერ შეძლებთ? გარდა იმისა, რომ დრო სჭირდება, ყველა ვაქცინა გაყიდულია ორი წლით ადრე. ყველა ქვეყანამ წინასწარ იყიდა, როცა „ფაიზერი“ ჯერ კიდევ არ იყო პერსპექტიული, ხუთჯერ უფრო მეტი დოზა, ვიდრე სჭირდებოდათ. ასე რომ, მსოფლიოში ყველაზე დიდი მოთხოვნა „ფაიზერზეა“, მაგრამ ფიზიკურად ვერ აწარმოებს მეტს და რასაც აწარმოებს, დაკონტრაქტებულია 2022 წლის ბოლომდე. შესაბამისად, საქართველომ რომ იყიდოს „ფაიზერი“, ამისთვის ურთულესი მოლაპარაკებებია საჭირო.

ერთ-ერთი, რაც ბოლო თვეებში, ნორმალური გავიგე ჩვენი ჯანდაცვის მინისტრისგან, „ნოვოვაქსთან“ გვაქვს მოლაპარაკებაო. ეს სწორი გზით სიარულია, როცა ელაპარაკები პოტენციურად კარგი ვაქცინის მწარმოებელს“.

გიორგი ფხაკაძის თქმით, საქართველოს ვაქცინაციის გეგმა არაპროფესიონალების მიერ იყო დაწერილი და განხორციელებული:

„დაავადებათა კონტროლის ცენტრი არის მთავრი ანტივაქსერული ორგანიზაცია ქვეყანაში, როგორ აბსურდულადაც უნდა ჟღერდეს. ყველაფერი გააკეთეს არასწორად, ადამიანები შეაშინეს და მივიღეთ შედეგი, რაც გაქვს. ვაქცინაცია არ არის პანაცეა. ვირუსის დასამარცხებლად საჭიროა სამედიცინო პირბადე, ორმეტრიანი დისტანცია, ხელების დაბანა და მეოთხეა ვაქცინაცია, რომელიც უნდა იყოს აუცილებლად ნებაყოფლობითი, უსაფრთხო. პაციენტები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი და მომზადებულნი არა ერთი დღით, არამედ ორი კვირით ადრე, თუ რამხელა რისკია ვაქცინაში და იმაში, რომ დაავადება დაემართოთ. მაგალითად, ასთმიანი ადამიანისთვის, ზოგ შემთხვევაში, COVID-19 სასიკვდილო განაჩენია, ამიტომ ჩნდება კითხვა – რა უფრო მაღალი რისკის შემცველია: რომ გაიკეთოს ვაქცინა, თუ იყოს რისკის ქვეშ და დაემართოს კორონავირუსი? ექიმმა უნდა აუხსნას ამ რისკის მნიშვნელობა და თვითონ ადამიანმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. არასწორი მიდგომაა, მექანიკურად, ადამიანების ვაქსერებად და არავაქსერებად დაყოფა. ეს კომუნიტური მიდგომაა, 21-ე საუკუნეში, თითოეულ ადამიანს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. ვაქცინასთან მიმართებაში, უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილი, გამჭვირვალე და თუ ყველა კითხვაზე იქნება გაცემული პასუხი, ვაქცინაციის პროცესი უფრო ეფექტური იქნება.

აჟიოტაჟი რომაა ატეხილი, საქართველოში ვაქცინაციის მსურველთა რაოდენობა დაბალიაო, იცით, რომ ვაქცინა ქვეყანაში აღარ გვაქვს? ჩინური გავიკეთოთ? – ბოდიში, მაგრამ ეს არასწორი მიდგომაა. სწორი მიდგომაა, რომ ქვეყანაში უნდა იყოს ვაქცინის საჭირო რაოდენობა და სწორი ინფორმაცია, არც ერთი გვაქვს. ვინმე ლაპარაკობს იმაზე, რომ ვაქცინის პირველად გაკეთებიდან, ხუთი თვის შემდეგ, კიდევ უნდა გაიკეთოთ დამატებითი „ბუსტერი“? „ასტრაზენეკას“ ვაქცინას ორჯერ რომ გაიკეთებთ, მესამე დოზა უნდა გაიკეთოთ ხუთი თვის შემდეგ. ამაზე რატომ არავინ ლაპარაკობს? მეუბნებით, მოდი, გაიკეთე ვაქცინაო, მაგრამ მარაგი არ გაქვს. ახლა არ გვინდა იმაზე ლაპარაკი, რომ ვიღაც ვაქსერია და ვიღაც – ანტივაქსერი. დაავადებათა კონტროლის ცენტრში მავნებლები არიან იმიტომ, რომ უნდა ჰქონდეთ გადადებული ვაქცინა ორ დოზაზე, რადგან დღეს „ასტრაზენეკას“ ვაქცინის ნაკლებობაა ბაზარზე. იმ ქვეყნებს, რომლებმაც გადაიხადეს ფული, დროულად არ მიეწოდებათ და რა გარანტიაა, რომ საქართველო მიიღებს კუთვნილ ვაქცინას? როცა უკეთებ ვაქცინას ადამიანს და ხედავ, რომ ბაზარზე ვაქცინის ნაკლებობაა, ეს არასწორი მიდგომაა. რომ გავიკეთოთ ვაქცინა, გარანტია გვაქვს, რომ ეს ვაქცინა გვექნება ხუთი თვის შემდეგ? ევროკავშირის ქვეყნები ვერ იღებენ მარაგს, რადგან შეფერხებაა მწარმოებლისგან. ისრაელში, ერთ მილიონს რომ გაუკეთეს ვაქცინა, 3 მილიონი აქვთ დასაწყობებული.

ვიცით, რომ „ასტრაზენეკა“ 55 წლის ქვემოთ არაა რეკომენდირებული, გარკვეული მიზეზების გამო და ხომ უნდა დაფიქრდე, გადაანაწილო – „ფაიზერის“ ვაქცინა მისცე სამედიცინო პერსონალს, ვინცაა 55 წლის ქვემოთ და „ასტრაზენეკა“ – 55 წლის ზემოთ. ეს ხომ დაგეგმარების საკითხია? ამას ვერ აკეთებენ, ვერაფერს აბამენ თავს და ტელევიზორში დაბოღმილი სახეებით გამოდიან, ხალხზე ვფიქრობთო. კორუმპირებული არაპროფესიონალები ვერასდროს იფიქრებენ ადამიანებზე“.

რომან გოცირიძე: „ინვესტორები ქვეყნიდან გარბიან!“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ლარის რეკორდული გაუფასურების ანატომია – რას ეშმაკობს ეროვნული ბანკი და რა კავშირი აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს ეროვნული ვალუტის კურსსა და ფასებზე

ზუსტად ცხრა წელია, ქვეყანას „ქართული ოცნება“ მართავს, მაგრამ ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერები დღესაც „ნაცმოძრაობის“ მმართველობის ცხრაწლიან პერიოდს იხსენებენ და მიხეილ სააკაშვილის „წასვლას“ ითხოვენ. სინამდვილეში, 18 კი არა, ბოლო 32 წელია, ეს ქვეყანა მოჯადოებულ წრეზე ტრიალებს – ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, ეკონომიკა ვერ ვითარდება, სამუშაო ადგილები ვერ იქმნება, რის გამოც უმუშევართა რიცხვი იზრდება და მოსახლეობა დღითიდღე ღარიბდება. 2020 წლის გლობალურმა პანდემიამ მსოფლიოს დღის წესრიგი შეცვალა და ეკონომიკური თეორიების სიღრმისეული ცოდნა სულაც არაა საჭირო იმის მისახვედრად, რა მძიმე დარტყმას მიაყენებდა პატარა, განვითარებად ქვეყანას – საქართველოს. რატომ ვერ ვითარდება ეკონომიკა, რა განსხვავებაა „ნაციონალურ“ და „ოცნებისეულ“ ცხრა წელს შორის და რაც მთავარია, რა არის გამოსავალი? – „ვერსიას“ ნაციონალური მოძრაობის წევრი, წარსულში საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, რომან გოცირიძე ესაუბრა.

– ბატონო რომან, გასაგებია, რომ 2020 წლის გლობალურმა პანდემიამ მსოფლიო დღის წესრიგი შეცვალა, მაგრამ საქართველოს ეკონომიკას სხვა, გაცილებით სერიოზული უბედურება სჭირს. თქვენი აზრით, რატომ ვერ ვვითარდებით?

– დავაკვირდეთ, როგორ იზრდებოდა საქართველოს ეკონომიკა ბოლო 17 წლის განმავლობაში და უკომენტაროდაც მივხვდებით ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის მიზეზებს. ვინაიდან ნაციონალური მოძრაობის მმართველობის ცხრაწლიანი პერიოდი ახსენეთ, სწორედ ეს ორი ცხრა წელი შევადაროთ ერთმანეთს.

2003-2012 წლებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), წელიწადში, საშუალოდ 6.24%-ით გაიზარდა, 2013-2020 წლებში – 2.75%-ით. ორივე ხელისუფლების დროს, თითო დიდი საგარეო შოკი იყო, რასაც ეკონომიკის ვარდნა მოჰყვა, ვგულისხმობ, 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისსა და 2020 წლის გლობალურ პანდემიას. შესაბამისად, 2009 წელს, მშპ 3.7%-ით შემცირდა, 2020 წელს -6.2%-ით. ამ წლების შედეგებს თუ არ გავითვალისწინებთ, „იმ ხელისუფლების“ დროს, ეკონომიკის საშუალო წლიური ზრდა 7.48% იყო, „ამ ხელისუფლების“ დროს – 3.9%. ეს სხვაობა ნიშნავს დაკარგულ მილიარდობით ლარსა და ათეულ ათასობით სამუშაო ადგილს.

ევროკავშირი ერთ-ერთი ყველაზე დიდი დონორი იყო გასულ წელს, პანდემიის პირობებში. შარშან, ევროკავშირის დახმარებამ 1.5 მილიარდი ლარი შეადგინა, საიდანაც 1 მილიარდი გახლდათ გრანტი. ევროკავშირმა, ერთ სულ მოსახლეზე, საქართველოს ყველაზე მეტი დახმარება გაუწია ევროპის ქვეყნებს შორის. ევროკავშირის გრანტი მიმდინარე წლის ბიუჯეტში 290 მილიონი ლარია, მისი ფინანსური თუ საკრედიტო ორგანიზაციების მიერ დიდძალი სესხები გაიცემა ბიზნესსა და ბანკებზე. შესაძლოა, ყველა ამ სიკეთეს „გადახედონ“, თუ ხელისუფლება გონს არ მოეგო. მთავრობისადმი სანქციებიდან პერსონალურ სანქციებამდე კი ერთი ნაბიჯია.

– ბოლო დროს, თქვენც და „ქართული ოცნების“ სხვა ოპონენტებიც ევროკავშირის სანქციებს საკმაოდ ხშირად ახსენებთ. ეს მუქარაა თუ რეალური საფუძველი მართლაც არსებობს?

– რა თქმა უნდა, არსებობს! განგაშის ზარმა ოფიციალურად უკვე შემოჰკრა, რადგან ევროკავშირი საბიუჯეტო გრანტის მეორე ტრანშის – 290 მილიონი ლარის გადმორიცხვის შეჩერებას აპირებს. მისი მიღება დაკავშირებული იქნება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესზე. ეს ფორმალური მხარეა, თორემ სინამდვილეში, ეს მთავრობის მიერ ევროკავშირის არაერთხელ „გადაგდების“ გამო დაწესებული სანქციაა, რომელიც პერსონალურ სანქციებამდეც მივა, თუ ასე გააგრძელეს.

– გასაგებია... წლების წინ, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი იყავით, მერე კი მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი გახდით ეკონომიკის საკითხებში, შესაბამისად, ლარის კურსის საგანგაშო ცვლილებას თქვენზე უკეთ ვერავინ ამიხსნის. მთავრობის წევრები ლარის გაუფასურებას საგარეო ფაქტორებით ხსნიან და გვარწმუნებენ, რომ ჩვენს ძირითად სავაჭრო-პარტნიორ ქვეყნებშიც უფასურდება ადგილობრივი ვალუტები. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

– ლარი კვლავ ანერვიულებს და აღარიბებს, როგორც ჩვენს მოქალაქეებს, ასევე, ბიზნესს. საგარეო ფაქტორები ახსენეთ, მაგრამ სინამდვილეში, ეს ხელისუფლების ტრადიციული ინტერპრეტაცია და თავის მართლებაა – ყბადაღებულ „საგარეო ფაქტორებზე“ აპელირებენ მუდმივად, სამაგიეროდ, „საშინაო ფაქტორებზე“ არაფერს ამბობენ. ხალხს ისეთი სისულელით „აბოლებენ“, თითქოს თურქული ლირის გუშინ გაუფასურება დღესვე აუფასურებდეს ლარს! „ექსპერტები“ ან პოლიტიკური მიკერძოებით განმარტავენ მოვლენებს, ან ხშირად არ ჰყოფნით ცოდნა რთული საკითხების ასახსნელად. მაგალითად, ძალიან იშვიათია, ვინმემ ახსენოს (ან ახსნას) ბიუჯეტის ზემოქმედების ხარისხი ლარის კურსსა და ფასებზე...

– თქვენ ამიტომაც გკითხეთ და ამიხსენით, ბატონო რომან.

– დიდი ცოდნა არ უნდა, რომ ლარის კურსზე ძირითადად გავლენას ახდენს ვალუტის შემოდინებასა და გადინებას შორის არსებული სხვაობა, რაც ე.წ. მიმდინარე ანგარიშის ბალანსში აისახება. თუთიყუშივით, ეს ყველამ დაიზეპირა, მაგრამ მხოლოდ „ტურიზმიდან დოლარები დაგვაკლდა“-ს ძახილით ვერაფერს ახსნი. როცა ტურიზმიდან 3 მილიარდი დოლარი შემოდიოდა და უცხოური ინვესტიციები ისტორიულ მაქსიმუმზე იყო – 1.7 მილიარდი დოლარი, ლარი ყველაზე მეტად სწორედ მაშინ გაუფასურდა. გამოდის, საქმე მხოლოდ იმაში არ არის, რამდენი დოლარია შემოსული, უფრო ზუსტად, იმაშიცაა, რამდენი ლარია გასული. ეს მოთხოვნა-მიწოდების ელემენტარული კანონი და მონეტარული თეორიის ანბანია. „ლარის მხარეზე“ რომ ხმას არ იღებენ ხელისუფლებაში, ეს გასაგებია, რადგან არ აწყობთ. ეს ვერც ექსპერტების თავამდე დავიდა, ამიტომ დამდგარან და წლების განმავლობაში „ლირამ ლარი გააუფასურა“ და „მოლოდინებმა ლარი გაგვიუფასურას“ მანტრით გვიხსნიან საკმაოდ რთულ პროცესებს.

მთავრობამ ისესხა დიდძალი ფული – 5 მილიარდი ლარის ეკვივალენტი დოლარში, ბიუჯეტში წარმოქმნილი დანაკლისის შესავსებად და პანდემიის წინააღმდეგ საჭირო ღონისძიებების გასატარებლად. აქედან, დაახლოებით, 3 მილიარდი ლარი დახარჯა შარშან ანუ საბიუჯეტო არხებით გაუშვა დიდძალი „დეფიციტური“ ფული. ამის გასანეიტრალებლად, ეროვნულმა ბანკმა უპრეცედენტო ოდენობით ვალუტა გაყიდა, დაახლოებით, 900 მილიონი დოლარი ანუ ინტერვენცია განახორციელა და მიმოქცევაში გაშვებული ლარის საკმაო ნაწილი ამოიღო. ეს ქმედება რომ არა, ორჯერ და სამჯერ უფრო გაუფასურდებოდა ლარი. იბადება კითხვა – საიდან გაუჩნდა ეროვნულ ბანკს ამდენი უცხოური ვალუტა, როცა ყოველთვის რეზერვების ნაკლებობაზე წუწუნებს? ეს ის ფულია, რაც მთავრობამ ეროვნულ ბანკს გაუცვალა -მისცა ნასესხები დოლარები და იყიდა ლარები, ვინაიდან ჩვენი ბიუჯეტიდან ხდება ხარჯვა ეროვნულ ვალუტაში. ეროვნულმა ბანკმა ცოტა წაუშმაკა, არ გაყიდა ყველა მიღებული დოლარი მთლიანად და გაზარდა რეზერვები. ეროვნულმა ბანკმა ჩათვალა, რომ 3.3-ზე კურსის დაჭერა მისი მიზანია, ხოლო გაყიდული რეზერვები – კურსის, დაახლოებით, ამ ფარგლებში შენარჩუნებას ეყო. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ – ლარის კურსი არის არა ის, რაც ბაზარზე უნდა იყოს, არამედ ის, რაც უნდა ეროვნულ ბანკს, მაგრამ მისი სურვილი ეჯახება ბაზრის ნეგატიურ ტენდენციას და ეროვნული ბანკი მუდმივი დილემის წინაშეა – გააუფასუროს ლარი და „შეისრუტოს“ გარედან მომდინარე ზეწოლა, თუ უფრო მეტი დახარჯოს „სასურველი“ კურსის შესანარჩუნებლად. ეს „სასურველი“ კურსი ბევრ რამეზეა დამოკიდებული: არჩევნებზე (კოჭს უგორებს ხელისუფლებას), პოლიტიკურ ზეწოლაზე, ბიზნესის განწყობაზე და ასე შემდეგ. ახლა, ლარი ხელოვნურ მართვაზეა და შესაბამისად, ლარის კურსი „თავისუფლად მცურავი“ კი არა, „მართვადი მცურავია“, რადგან ბიუჯეტის არნახული დეფიციტის დაფინანსების წყარო საგარეო დახმარებები იყო.

– სხვათა შორის, ბოლო დროს ეროვნულმა ბანკმა ინტერვენციები შეამცირა და ამას როგორ ხსნით?

– რეზერვებს უფრთხილდება და სწორიცაა, ოღონდ გააჩნია, ამას როგორ აკეთებს. უმეტეს შემთხვევაში, მოქმედებს პრინციპით: „ძუნწი იხდის ორჯერ“, ამიტომ მის დაგვიანებულ ინტერვენციებს „უკან მიდევნებული ლამპრის“ როლი აქვს. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, ეროვნული ბანკის რეზერვები საგრძნობლად გაიზარდა. ეს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ აღებული სესხები და „უკან ჩასაბრუნებელი“ ფულია სავალუტო ბაზარზე.

რაც შეეხება კითხვას, მიმდინარე წელს, აპრილში, მთავრობას უწევს 500 მილიონი დოლარის ოდენობის საგარეო ვალის იმ ნაწილის გასტუმრება, რომელიც წინა წლებში, ე.წ. ევროობლიგაციების განთავსებით მიიღო. მას ობლიგაციები ხელახლა უნდა გამოეშვა და მიღებული ფულით ძველი ვალები გადაეფარა, მაგრამ ამას თავი ვერ მოაბა.

დასასრული მე-8 გვერდზე

რომან გოცირიძე: „ინვესტორები ქვეყნიდან გარბიან!“

მე-7 გვერდიდან

პროცესი ჯერ კიდევ შარშან უნდა დაეწყო, სინამვილეში, სულ ახლახან გამოაცხადა კონკურსი ამ ობლიგაციების ბაზარზე გატანის მომსახურე ბანკების შესარჩევად. ჩავარდა საქმე! არავინ იცის, როდის განათავსებს ობლიგაციებს მთავრობა და საერთოდ მოესწრება წელს თუ არა, ამიტომ ორ კვირაში, ეროვნულ ბანკს 500 მილიონი დოლარით შეუმცირდება რეზერვები და ძნელი სათქმელია, აღადგენს თუ არა წელს. არადა, ძირითადი ვალების გასტუმრების პროცესი წინ აქვს.

ამ „დარდებში“ მყოფმა ეროვნულმა ბანკმა დაამუხრუჭა მაშინ, როცა საჭირო არ იყო – ხანგრძლივი თამაში უნდა ეთამაშა, შედეგად, ლარი გაექცა. ახლა, მისი შეჩერების ერთადერთი გზა ინტერვენციებია. მალე მოუწევს, შეიძლება ხვალვე, მაგრამ ფაქტია – დააგვიანა, უკვე გვანერვიულა, ცუდი მოლოდინები გააჩინა და ლარის დოლარში გადახურდავებისკენაც გვიბიძგა. შესაბამისად, იმაზე მეტი ვალუტის გაყიდვა მოუწევს, ვიდრე მშვიდად რომ ემოქმედა. არადა, მოსახვევში მუხრუჭების ფრთხილად გამოყენებაა საჭირო.

წინა კვირას, ეროვნულმა ბანკმა 40 მილიონი დოლარი გაიტანა გასაყიდად და მხოლოდ 27.5 მილიონი გაიყიდა. წლებია, სწორედ ამას ვეუბნები, რომ წინმსწრები, ან თუნდაც არაწინმსწრები მცირეოდენი ინტერვენციები, მოკლევადიან რყევებს ხსნის. მთელი კვირაა ლარი უფასურდება, რადგან სავალუტო ბაზარზე დოლარის ნაკლებობა იყო და აღმოჩნდა, რომ მცირეოდენი ხელის წაკვრით, ყველაფერი მოგვარდებადი ყოფილა. ლარი ეროვნული ბანკის უმოქმედობამ გააუფასურა – აი, ეს თქვა ბაზარმა!

– პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ტურისტული ნაკადების სიმრავლე ლარის კურსს არ დაასტაბილურებს?

– წინა წლებში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ორჯერ და სამჯერ მეტი იყო, ვიდრე გასულ წელს და ტურიზმიდან შემოსავლებიც 2-3 მილიარდ დოლარს აღწევდა ყოველწლიურად, მაგრამ იმ პერიოდში, ლარი ორჯერ გაუფასურდა. რა გარანტია გვაქვს, რომ სავალუტო შემოდინებების ზრდა ლარს გაამყარებს? – არავითარი.

წარმოვიდგინოთ, რომ ბაზარზე არის გამოტანილი „დოლარას“ ჯიშის 3 ცალი ვაშლი და მის საყიდლად გვაქვს 9 ლარი. რამდენი ლარი მოდის ერთ ვაშლზე? – სამი ანუ ვაშლის კურსი ლართან მიმართებით, 1:3-ზე ყოფილა. გარკვეული დროის შემდეგ შევიტყვეთ, რომ ბაზარზე 6 ვაშლია გამოტანილი გასაყიდად. გახარებულები გავიქეცით, გვეგონა, იაფად ჩავიგდებდით ხელში, მაგრამ სხვებსაც გასჩენიათ მისი ყიდვის სურვილი ანუ ფული. სულ 24 ლარი დაგროვებულა სავაშლედ. გამოდის, რომ 1 ვაშლი უკვე 3 ლარი კი არა, 4 ლარი ღირს. ეს ნიშნავს, რომ „დოლარა“ ვაშლის კურსი ლართან მიმართებით, 1:4-ია. გამოვიდა, რომ „დოლარა“ შემოვიდა და „ლარა“ გაუფასურდა. პარადოქსია, არა? მართალია, „დოლარას“ მიწოდება გაიზარდა, მაგრამ ლარის მიწოდებაც ხომ უფრო მეტად გაიზარდა? პასუხიც ესაა – ამიტომაც გაგვიუფასურდა ფული.

ვინმეს გინახავთ საქართველოში, სადმე, მათ შორის ტელევიზორში, ლარის დოლართან გაცვლის კურსის დადგენისას, ლარის მიწოდებაზე ესაუბროს? ეს ხომ ელემენტარულია, ვაჭრობაში ხომ ორი საქონელი მონაწილეობს და რატომ ვხედავთ მხოლოდ ერთს, ამ შემთხვევაში, დოლარს ანუ ტურისტებს და არა ვხედავთ მეორეს – ლარს ანუ ბიუჯეტსა და მონეტარულ მხარეს?! ბევრი მიზეზი აქვს ამ „დაუნახაობას“, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერ ამას, „საგარეო ფაქტორს“ ვეღარ გადააბრალებ, რადგან „საშინაო ფაქტორიც“ არანაკლებ მნიშვნელოვანია.

გისურვებთ, ლარი ისე დასტაბილურდეს, რომ მისი კურსის გაკითხვაც კი არ დაგჭირდეთ ანუ დაახლოებით, ისე ყოფილიყოს, როგორც ერთ გამონათქვამშია -კარგი მთავრობა ისაა, რომლის არსებობას ვერც კი ამჩნევთ. ჩვენ ჯერჯერობით ვამჩნევთ და თანაც როგორ, მათ შორის, მთავრობასაც და ვალუტის ტაბლოსაც.

– თუკი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გაიზრდება და ეკონომიკა აღდგება, პრობლემა არ მოგვარდება?

– დიახ, მაგრამ რომელი უცხოელი ინვესტორი შემოჰყოფს აქ ცხვირს, როცა ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია, მხოლოდ 20 000-მდე ადამიანია აცრილი და ხელისუფლებაში განუკითხაობაა?! ქვეყნიდან ინვესტორები გარბიან, მაგრამ ამას პანდემიას ვერ გადააბრალებენ. 2020 წელს, ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საგანგაშოდ დაბალი იყო. ამაზე ნაკლები უცხოური კაპიტალი ბოლოს, მხოლოდ 2005 წელს შემოვიდა. ინვესტიციების 91% ე.წ. რეინვესტირება იყო ანუ კომპანიებმა ჩატოვეს ფული ქართულ ბიზნესში. მხოლოდ 56 მილიონი დოლარი იყო სუფთად, გარედან შემოსული, რაც ძალიან საგანგაშოა. ინვესტიციების უდიდესი ნაწილი საფინანსო სექტორზე მოდის ანუ ეს ან გრძელვადიანი კრედიტებია, ან წარსულში აღებული სესხების ბანკების კაპიტალში ჩაბრუნება.

„საქსტატი“ ინვესტიციების დრამატულად შემცირებას იმით ხსნის, რომ შეიცვალა რეზიდენტი ანუ უცხოელის საკუთრებიდან, კაპიტალი „საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში“ გადავიდა. იყო სხვა ქვეყნის მოქალაქის ან იურიდიული პირის, მაგრამ გახდა ჩვენი. სინამდვილეში, ამას კაპიტალის გატანა თუ გაქცევა ჰქვია. თვალსაჩინოებისათვის, ერთი მაგალითიც კმარა: მსოფლიოში ცნობილი ბანკი, „სოსიეტე ჟენერალი“, 2016 წელს გავიდა საქართველოს ბაზრიდან. მიჰყიდა თავისი აქციები თიბისი ბანკს 340 მილიონ ლარად, დაახლოებით, 140 მილიონი დოლარი გაიტანა და წავიდა ანუ „რეზიდენტი შეიცვალა“. ვითომ არაფერი, ხომ?

ახლა ვნახოთ, რომელი „რეზიდენტი შეიცვალა“ გასულ წელს, საქართველოში. ერთი კონკრეტული მაგალითი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკიდან: ვიღაცამ, შარშან, პანამაში გაიტანა 209 მილიონი დოლარი. პანამა ვისთან და რასთან ასოცირდება, კი ვიცით, ოფშორული ზონაა. აქ ორი რამ უნდა ვივარაუდოთ: პირველი, ივანიშვილმა, საქართველოში არსებული თავისი პანამური კომპანიის აქტივები მიჰყიდა ვიღაც „ქართველს“ – საქართველოს რეზიდენტს და ფული ოფშორში, პანამაში გადაიტანა, ან თავისი პანამური კომპანის წილი „მიჰყიდა“ „საკუთარ თავს“, საქართველოში. ორივე შემთხვევაში, ფინანსური თვალსაზრისით, კაპიტალის გატანა ფიქსირდება. აქ ისიცაა გასარკვევი, პანამიდან შემოსული ფული, თავის დროზე, აქედან გასული და უკან შემობრუნებული იყო, თუ სხვა ოფშორებიდან პანამაში აკუმულირებული, ვიდრე ვიკილიქსში ამბები არ გასკდებოდა და პანამა უსაფრთხო თავშესაფრად იყო მიჩნეული ბევრისთვის.

კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი დეტალი – პირველად, მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, რაც „საქსტატი“ აწარმოებს აღრიცხვას, 2020 წლის მეოთხე კვარტალში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი იყო მინუს 102.8 მილიონი დოლარი ანუ კაპიტალი კი არ შემოვიდა, არამედ, გავიდა!

2020 წელს, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იყო 616.9 მილიონი დოლარი, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია, ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში. გასულ წელთან შედარებით, კლება 53%-ია და ამის მხოლოდ პანდემიით ახსნა სწორი არ იქნება – აქეთკენ მივდიოდით.

– ბატონო რომან, ნუთუ, გამოსავალი არ არის?

– ანუ, გაინტერესებთ, „გვეშველება რამე“? ეს ყველაზე სულელური გამონათქვამია, რადგან ორი პასუხი აქვს: არაფერი გვეშველება და გვეშველება. პირველი ძალიან ბოროტი პასუხია და მოულოდნელი, მეორე – სასურველი და მოსალოდნელი, მაგრამ არადამაჯერებელი. ჰოდა, რა აზრი აქვს იმ კითხვას, თუ არც ერთი პასუხის არ გწამს? ეს უკვე ჩვეულებრივ, სარიტუალო გამონათქვამად იქცა, რომელზე პასუხი არც არავის აქვს და არც არავის აინტერესებს. ზრდილობისთვის თუ იტყვი რამეს, ახალმოდური „გაიხარეთი“ გიპასუხებენ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ გვეშველება. თუ არ გვეშველება, „არ გაიხარეო“, ხომ ვერ გეტყვიან?

არ იშლის ხელისუფლება ნაცად ხრიკებს. იტყუებოდა, ეკონომიკური ზრდით, რეგიონში ლიდერები ვართო. სინამდვილეში, 2020 წელს, საქართველოს ერთ-ერთი, უარესი შედეგი აქვს, მასზე ცუდი შედეგი აქვს ომგადატანილ სომხეთს, ნახევრადაღიარებულ კოსოვოს და ორიოდე სხვა ქვეყანას. რეგიონის 23 ქვეყნიდან, მე-16 ადგილზე ვართ.

სამართალი

№11 14 აპრილი 2021 წ

თბილისში მედპერსონალი მოწამლეს

ვინ არის ბოროტმოქმედი და რატომ იძია შური ექიმებზე

ბათო ჯაფარიძე

იმის მიუხედავად, რომ ადამიანების ორგანოებით უკანონო ვაჭრობა აკრძალულია და მკაცრად ისჯება, დღემდე არსებობენ ისინი, რომლებიც ამ საქმეს მისდევენ. სამწუხაროდ, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, პატარა ბავშვებსაც კი იპარავენ, რათა ნაწილ-ნაწილ გაყიდონ და ამით დიდი ფული იშოვონ. სამედიცინო სფეროს წინსვლამ, ბევრ სიკეთესთან ერთად, ისიც მოიტანა, რომ ადამიანების ორგანოებით ვაჭრობა სერიოზულ კრიმინალურ სინდიკატად იქცა და ამ სფეროში ჩართული დამნაშავეები უკან არაფერზე იხევენ.

საქართველოში, ორგანოებით შესაძლო ვაჭრობასთან დაკავშირებით, პირველი ჭორები 80-იანი წლების მიწურულს გავრცელდა. ხალხში ხმა დადიოდა, თითქოს, გარდაცვლილებს ორგანოებს აჭრიდნენ და საზღვარგარეთ ანუ იქ ჰყიდდნენ, სადაც მედიცინა უფრო წინ იყო და ორგანოების გადანერგვა ხდებოდა. ამიტომაც, ჭირისუფალი მაქსიმალურად ცდილობდა, რომ გარდაცვლილი ახლობელი მორგში არ გაეკვეთათ...

„ჩემს კოლეგას ყელში მავთული გადასცდა და ლამის დაიხრჩო. მაშინვე საავადმყოფოში გავაქანეთ, მეც წავედი და გამიხარდა, როცა მითხრეს, მორიგე ქირურგი ვინც იყო. იმ ახალგაზრდას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ გაგებული მქონდა, ოქროს ხელები აქვს და საქართველოში კი არა, საბჭოთა კავშირის მასშტაბით გაითქვამს სახელსო. ჩემი კოლეგა საოპერაციოდ გაამზადეს, მაგრამ ექიმი კაბინეტიდან არ გამოდიოდა. ბოლოს, კაკუნზეც რომ არ უპასუხა ექთანს და კარიც შიგნიდან დაკეტილი აღმოჩნდა, ვეღარ მოვითმინე და შევამტვრიე. ვიფიქრე, ჩაეძინა-მეთქი, თუმცა ძილი კი არა, ჩემს წინ, ახალგაზრდა ქირურგი გარდაცვლილი ეგდო. სხვა ექიმებმა როგორც კი დახედეს, მაშინვე დაასკვნეს, მოწამლულიაო და გადარჩენა სცადეს, თუმცა მკვდარს ვინ გააცოცხლებდა?! მაგიდაზე წაქცეული ყავის ჭიქა იდო და იმდენი კი მოვახერხე, შემთხვევის ადგილი დავიცავი და ექსპერტებს იქაურობა, პრაქტიკულად, ხელუხლებელი დავახვედრე. მათი დასკვნაც მარტივი გახლდათ – ექიმი მოწამლეს, საწამლავი ყავაში შეურიეს, თუმცა ექსპერტებს შემადგენლობის გარკვევა უჭირდათ, რაღაც „ბუკეტია“, გამოცდილი ფარმაცევტის ან ქიმიკოსის ნამუშევარს ჰგავსო“, – იხსენებს დედაქალაქში მომხდარ გახმაურებულ საქმეს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

მკვლელი მედპერსონალს შორის უნდა ეძებნათ, რადგან ყავის ჭიქა ჯერ კიდევ თბილი იყო ანუ ახალი მოდუღებული გახლდათ. კოლეგებმა თქვეს, ყავას ყოველთვის თავად იდუღებდა, სხვებს არ გამოსდით ისეთი, მე რომ მიყვარსო. სამედიცინო პერსონალი ორ საათში გამოიკითხა და რამდენიმემ ახსენა, ეს ჩვენი ექიმი, ექთანზე იყო შეყვარებული, ღამეც ერთად მორიგეობდნენ, საყვარლები იყვნენო. ექთანი ქვრივი გახლდათ, ექიმი – ცოლ-შვილიანი და გაჩნდა ვერსია, რომ ქმარზე შური ცოლმა იძია. სანამ ცოლამდე მივიდოდნენ, გამომძიებლებმა ექთნის დაკითხვა გადაწყვიტეს, თუმცა ის კლინიკაში ვერ იპოვეს.

„მისი სახლისკენ ვაპირებდით წასვლას, როცა საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების ცენტრიდან დარეკეს, თქვენი ექთანი ავტობუსში ცუდად გახდა, მგზავრებმა სასწრაფო გამოიძახეს და მოწამვლის ნიშნებით წავიყვანეთო ანუ ისიც ვიღაცამ მოწამლა და სასწრაფოდ გარდაცვლილი ექიმის ცოლი მოვიკითხე. ქალი მასწავლებელი გახლდათ და იმ დღეს, სკოლიდან ფეხი არ გაუდგამს. შესაბამისად, მოწამვლასაც ვერ მოახერხებდა, თუმცა ყველაზე საინტერესო წინ მელოდა – სანამ ექიმის ცოლის ამბებს ვარკვევდი, საავადმყოფოს კიდევ ერთი ექიმი ჩავარდა კომაში. მიზეზი აქაც იგივე – მოწამვლა. საბედნიეროდ, ქალისა და მეორე ექიმის გადარჩენა მოხერხდა, მაგრამ რამე ხომ უნდა მეღონა? ღამის სამმაგი მკვლელობა მოხდა და მე კიდევ ეჭვმიტანილიც არ მყავდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გამომძიებლებმა საავადმყოფოს თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლა დაიწყეს, მაგრამ საეჭვოს ვერაფერს მიაგნეს. შემდეგ უკვე იმ ოპერაციებს გადახედეს, როლმებზეც ორი ექიმი და ექთანი ერთად იყვნენ, მაგრამ ამჯერადაც საეჭვო ვერაფერი ნახეს. პაციენტები სრულიად ჯანმრთელები გახლდნენ ანუ სამეულს არავინ შემოჰკვდომია. გამოძიებას თითქოს ყველა ძაფი ხელიდან გაუსხლტა, მაგრამ ერთ დღესაც...

„საავადმყოფოში მივედი, თანამშრომლებს კიდევ გავესაუბრე, ახალი ვერაფერი გავარკვიე და წამოვედი. ეზოდან გამოსულს, სანდომიანი, ასაკოვანი კაცი მომიახლოვდა, ვიცი, ამ საქმეს იძიებ, მე წინა კორპუსში ვცხოვრობ, ყველაფერი იმის ბრალია, რომ ამ კლინიკაში ორგანოებით ვაჭრობენ, თუ არ გჯერა, საღამოს ჩემს კორპუსში მოდი და დეტალებს მოგიყვები, ახლა არ მცალიაო. გავოცდი, ჩავფიქრდი, სახელი ვკითხე, მერე გადავამოწმე, იქ ცხოვრობდა და საღამოს მივედი. ეზოში, სკამზე იჯდა, დამინახა თუ არა, წამოდგა, მერე ერთ ბავშვს დაუძახა, მაისური აუწია, მარჯვენა მხარეს, ზურგზე, იმ ადგილზე, სადაც თირკმელია, ბავშვს დიდი ნაიარევი ეტყობოდა. როგორც მოხუცმა თქვა, ეს ბავშვი მისი შვილიშვილი იყო, ორი წლის წინ დაიკარგა, მერე კი, დაკარგვიდან ორ კვირაში, მოულოდნელად გამოჩნდა, არაფერი ახსოვდა, თუმცა ნაოპერაციები ეტყობოდა. ექიმებმა დაადასტურეს, რომ ბავშვს თირკმელი აკლდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მოხუცის მონაყოლი თავზარდამცემი იყო. გამომძიებელმა თავად ნახა ნაიარევი და რაც მთავარია, ჰყავდა მოწმე, რომელსაც, როგორც თავად ამბობდა, არავინ უსმენდა, რადგან ადამიანების ორგანოებით მოვაჭრეებს, თურმე, სერიოზული მფარველები ჰყავდათ. ბატონი თენგიზი პირდაპირ უშიშროების კომიტეტში წავიდა და მწარედაც ინანა. იქ აუხსნეს, რომ მოხუცი ყოფილი პროფესორი გახლდათ, რომელსაც ცოლის გარდაცვალების შემდეგ, ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა, ის ბავშვი მისი შვილიშვილი სულაც არ იყო, არც თირკმელი აკლდა, უბრალოდ, ორი წლის წინ, ხიდან ჩამოვარდა და ტოტზე გამოედო, ნაიარევიც ამიტომ დარჩა.

გამომძიებელმა ახლიდან გადაამოწმა ყველაფერი და დაუდასტურეს ის, რაც უშიშროებაში მოისმინა. ორგანოებით ვაჭრობის თემა კი გამოირიცხა, მაგრამ ის ხომ ფაქტი იყო, რომ ახალგაზრდა ექიმი მოწამლეს და საავადმყოფოს კიდევ ორი თანამშრომლის მოწამვლა სურდათ?

ერთ დღესაც, როცა გამომძიებელი ისევ საავადმყოფოში მივიდა, მორიგე ექიმმა უთხრა, იქნებ ჩვენი სანიტარი დაკითხო, გარდაცვლილი ექიმის თანაჯგუფელია, სამსახურში მან მოიყვანა, ეგებ, მის წარსულზე იცოდეს რამეო. გამომძიებელი გაოცდა – ექიმის თანაჯგუფელი სანიტრად მუშაობდა. რატომ? რისთვის? ეს უკანასკნელი იმედი იყო და სამართალდამცავებმა სანიტარი მოიკითხეს. იმ დღეს სამსახურში არ იყო, სახლში დაურეკეს, დაკითხვაზე ხარ დაბარებულიო, თუმცა იმ დღიდან, სანიტარი გაქრა. მილიციამ მისი გარემოცვის შესწავლა დაიწყო და უახლოეს მეგობარსაც მალე მიაგნო.

„ჩემი მეგობარი გულის მანკით დაიბადა, გადარჩენის იმედს არ იძლეოდნენ ექიმები, მაგრამ გადარჩა და სამედიცინოზეც ჩააბარა, იმდენს ვიზამ, საკუთარ თავს, თავად ვუმკურნალებო. გათხოვდა კიდეც, თუმცა მერე გაირკვა, შვილი არასდროს ეყოლებოდა. ექვსი წელი იცხოვრა ქმართან ერთად, მერე გაიგო, რომ სამშობიაროში ახალშობილი ბიჭი მიუტოვებია მშობელს, რადგან პატარას გულის მანკის დიაგნოზი დაუსვეს და გადარჩენის იმედი არ ჰქონდათ. იმდენი მოახერხა, ავადმყოფი ბავშვი იშვილა, წინააღმდეგი ქალიც არ წასულა და მთელ ენერგიას მას ახმარდა. სამსახურიდან წამოვიდა, ფარმაცევტი გახდა – ასე უფრო ბევრი დრო ჰქონდა შვილისთვის. 5 წლის იყო ბავშვი, როცა აცრაზე, სწორედ იმ კლინიკაში მიიყვანა თანაჯგუფელთან, სადაც მუშაობს. თავად გარეთ გამოვიდა, ვერ შევხედავ ბავშვს როგორ ცრითო, ძალიან უყვარდა ბიჭი. ვერ გეტყვით, რა შეეშალათ ექიმებს, ამბობენ, ნემსი შემთხვევით ვენაში მოხვდა და წამალი ვენაში შეუშვეს, რამაც გულის გაჩერება გამოიწვიაო“, – ეს იყო მეგობრის მონაყოლი.

მისივე თქმით, გაქცეულის ძებნა საჭირო არ იყო, რადგან ხუთ დღეში, ბიჭის დაბადების დღე მოდიოდა და ქალი მის საფლავზე აუცილებლად მივიდოდა.

„მარტო წავედი სასაფლაოზე, კართან დავდექი. 12 საათისთვის, ის ქალიც მოვიდა, დამინახა, მიცნო, თვალით მანიშნა, მივალო, უხმოდ დავუქნიე თავი. მივიდა, იტირა, მერე წამოდგა და ხელები გამომიწოდა, ბორკილები დამადეო. მკვლელობა აღიარა, სანიტრადაც იმიტომ მოვეწყვე, მინდოდა, ჩემი შვილის მკვლელებთან ახლოს ვყოფილიყავი და შანსს დავლოდებოდიო. საწამლავის „ბუკეტიც“ თავად გააკეთა და სამივეს მოკვლა ერთ დღეს სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. არადა, გაუფრთხილებლობით ბავშვის სიკვდილი პათოლოგიას ანუ გულის მანკს დაბრალდა და არა – ექიმებს“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

სასამართლომ ქალს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა სამი წლის შემდეგ, ის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ტუბერკულოზით გარდაიცვალა.

ფაშინიანმა არჩევნებში გამარჯვება ქართველ „კანონიერ ქურდს“ სთხოვა

რომელი თანამდებობის პირები დახვდნენ ერევნის აეროპორტში ბადრი კოღუაშვილს

პოლიტიკური კრიზისის განსამუხტად, სომხეთის პრემიერ-მინისტრმა, ნიკოლ ფაშინიანმა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნა. სომეხი ხალხი არჩევანს 20 ივნისს გააკეთებს. ისე ჩანს, ფაშინიანს ხელისუფლებაში დარჩენა სურს და წასვლას არსად აპირებს. როგორც იქაური მედია იუწყება, საამისოდ, პრემიერის გუნდის წევრები ყველაფერს აკეთებენ.

„6 აპრილს, ერევანში, ცნობილი ქართველი, ე.წ. კანონიერი ქურდი, ბადრი კოღუაშვილი ჩამოვიდა. მას აეროპორტში, პარლამენტის ვიცე-სპიკერი, ალენ სიმონიანი და მმართველი გუნდის დეპუტატი, აიკ სარქისიანი დახვდნენ. კოღუაშვილის ვიზიტის მიზეზი გასაგებია – მან სომეხ კრიმინალებს უნდა სთხოვოს, მმართველ ძალას დაუჭირონ მხარი და საკუთარი კავშირების მეშვეობით, ხმების საჭირო ოდენობაც მიიღონ“, – წერს სომხური მედია.

რა თქმა უნდა, მმართველი გუნდის წევრები ყველაფერს უარყოფენ, მაგრამ იმას, რომ კოღუაშვილი ერევანში იმყოფება, არავინ მალავს.

ზოგადად, ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების არჩევნებში ჩარევა და „კაი ბიჭების“ მეშვეობით, უბნებში ხალხის მობილიზება, პოსტსაბჭოთა სივრცის ფენომენია.

შს მინისტრის ცოლმა თავი მოიკლა

ბათო ჯაფარიძე

80-იანი წლების დასაწყისში, მართალია, არაოფიციალურად, მაგრამ საქართველო, 15 რესპუბლიკას შორის, ყველაზე მდიდრად ითვლებოდა. ასევე, არაოფიციალური გათვლითა და დათვლით, ყველაზე მეტი „ცეხავიკი“ და შესაბამისად, მილიონერიც, სწორედ ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობდა. ლოგიკურად, ყველაზე მეტი „კანონიერი ქურდი“, ასევე, საქართველოში იყო. აბა, „ცეხავიკები“ ვინმეს ხომ უნდა „გაეპარსა“ და ოფიციალური სტრუქტურების გარდა, „დალაქებს“ შორის, „კანონიერი ქურდებიც“ იყვნენ, თუმცა ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, უნიკალური ფინალი აქვს და ის საქართველოში ჩატარებული სპეცოპერაციით დასრულდა...



ძალიან სკანდალური კრიმინალური „ქეისი“, რომლის ფიგურანტებიც ცნობილი მსახიობები და თანამდებობის პირის ოჯახის წევრები არიან

შორიდან დავიწყოთ: საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XV-მ, მეუღლისთვის, იუველირებს ბრილიანტის საყურეები და ყელსაბამი შეუკვეთა. მე-18 საუკუნის ნაკეთობა საოცრად თვალისმომჭრელი გახლდათ და საფრანგეთის ერთგვარ რელიქვიადაც ითვლებოდა, თუმცა მეორე სამამულო ომის დროს, დაიკარგა. ომის მიწურულს, საფრანგეთში მყოფმა ცნობილმა რუსმა მწერალმა, ალექსეი ტოლსტოიმ „შემთხვევით“, გადამყიდველებისგან, პრაქტიკულად, კაპიკებში შეიძინა და ცოლს, ლუდმილას უსახსოვრა. 1945 წლის 23 თებერვალს, ცნობილი მწერალი გარდაიცვალა, თუმცა მთელმა რუსეთმა იცოდა, რომ ტოლსტოის სახლში, ეს იშვითი რელიქვია ინახებოდა. ცოდნა ერთია, მაგრამ ქურდობას ვინ გაბედავდა?! ცნობილი მწერალი იმ სახლში ცხოვრობდა, სადაც მეზობლად პროკურორები, უმაღლესი პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები და მათი მოადგილეები ჰყავდა. სახლის შესასვლელში მამაკაცი იჯდა, რომელიც ყველა შემსვლელსა თუ გამსვლელს ამოწმებდა, ეკითხებოდა, სად მიდიოდა, ვისთან და რატომ. რაც მთავარია, ეს კაცი პენსიაზე გასული უშიშროების თანამშრომელი იყო, რომელსაც წესით, არაფერი უნდა გამოჰპარვოდა.

ჰოდა, 1980 წელს, ამ სახლის ფოიეში, სამი ახალგაზრდა გამოჩნდა, რომლებსაც ხელში ნაძვის ხე, შამპანური და შოკოლადის ფილები ეჭირათ. პორტიეს ღიმილით უთხრეს, ტოლსტოის ქვრივთან, ქალბატონ ლუდმილასთან მივდივართ, მისი ნათესავები ვართო და... უპრობლემოდ გაატარეს.

74 წლის ქალი, თავში ძლიერი დარტყმით გათიშეს და სახლი გაქურდეს, თუმცა წაიღეს მხოლოდ... ბრილიანტის საყურეები და გულსამაგრი. მაშინ მითითება იყო, რომ კერძო პირის მიერ დაკარგული ქონების შეფასებისას, სამართალდამცავებს დიდი თანხა არ უნდა დაესახელებინათ, რადგან არ შეიძლებოდა, საბჭოთა მოქალაქეს უზარმაზარი თანხა ჰქონოდა. ამის მიუხედავად, დაკარგული ბრილიანტები დაშვებული თანხის მაქსიმუმით შეფასდა – მილიონ მანეთად. 1 დოლარი მაშინ, 60 კაპიკი ღირდა. საბჭოთა კავშირის მთელი ძალოვანი სტრუქტურა ფეხზე დადგა. ტოლსტოის მუზეუმი გაუხსნეს, მისი წიგნები დიდი ტირაჟით იყიდებოდა, მწერლის ანდერძით, ლუდმილას სიკვდილის შემდეგ, მთელი ქონება სახელმწიფოს რჩებოდა და უცებ, ასეთი შემთხვევა.

გაირკვა, რომ სანამ ძარცვა მოხდებოდა, წინა დღეს, ტოლსტოის ქვრივი, რუმინეთის საელჩოში გახლდათ მიღებაზე და ბრილიანტები სწორედ იქ ეკეთა. ჩახედეს სიას და ერთი გვარი მოინიშნეს – ბორის ბურიაცე (მეტსახელად, ბორია ბრილიანტი, ბორია ციგანი). ამ ადამიანს, ბრილიანტების ხსენებაზე აკანკალებდა. ის მოსკოვის დიდი ოპერის მომღერალი იყო, უდიდესი გავლენით სარგებლობდა და რაც მთავარია, ბრეჟნევის შვილის, გალინა ბერეჟნევას საყვარლად ითვლებოდა. ბურიაცეს დაკითხვაზე მიყვანა რთული რომ იქნებოდა, უშიშროებაში კი იცოდნენ, მაგრამ მაშინდელი „კა-გე-ბე“-ს შეფი, იური ანდროპოვი მაინც შეეცადა, ბურიაცე დაკითხვაზე მიეყვანა. ბორიამ გალინას უთხრა, გალინამ – მამამისს და უკვე ასაკში მყოფმა ლეონიდ ილიჩმა, ანდროპოვი დატუქსა, ტოლსტოი დიდი მწერალია, მაგრამ ქურდობას ბურიაცის დონის მომღერალს ნუ დააბრალებთო. ანდროპოვმა სიტუაცია აღარ დაძაბა. გალინას და, შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის, ნიკოლაი შჩოლოკოვის ცოლი, სვეტლანა, ბრილიანტების დიდი მოყვარული გახლდათ, შავ ბაზარზე აქტიურად ყიდულობდა და ყიდდა კიდეც ბრილიანტებს და როცა ფული არ ჰქონდა, ხელწერილს ტოვებდა, რითაც გადახდის ვალდებულებას იღებდა. ეს წერილები, საბოლოო ჯამში, სწორედ ანდროპოვის ხელში ხვდებოდა და როგორც ამბობენ, „კა-გე-ბე“-ს მაშინდელ შეფს ყველაზე ჰქონდა კომპრომატი, რის გამოც, ბრეჟნევის გარდაცვალების შემდეგ, კითხვა არ დასმულა, ვინ უნდა ყოფილიყო მსოფლიოს უდიდესი ქვეყნის პირველი პირი. მანამდე კი...

ალექსეი ტოლსტოის მეტსახელი „წითელი გრაფი“ გახლდათ. ლუდმილა მისი მეოთხე ცოლი იყო, წინა სამი ცოლიდან, სამი შვილი ჰყავდა, თუმცა ანდერძით, მათ არაფერს უტოვებდა და „კა-გე-ბე“-მ ეს ვერსიაც დაამუშავა, თუმცა ამაოდ – შვილები არაფერ შუაში იყვნენ. მომხდარიდან მალევე, ცნობილი მსახიობის, ზოია ფიოდოროვას სახლი გაქურდეს და თავად მსახიობი, რომელიც 30-ზე მეტ ფილმში იყო გადაღებული, მოკლეს.

სამართალდამცავებს ეჭვმიტანილი ჰყავდათ – ანატოლი ბეცი, კანონიერი ქურდი, რომელიც შემთხვევითმა მოწმემ ამოიცნო. მისი სურათი ტოლსტოის ქვრივს აჩვენეს და მანაც თავი დააქნია – ამ კაცმა გამძარცვაო. ბეცზე საკავშირო ძებნა გამოცხადდა. მას ორსული ცოლი ჰყავდა და როგორც კრიმინალებმა თქვეს, როგორი დაუნდობელიც იყო საქმეში, ისეთივე გულჩვილი ქმარი და მამა გახლდათ. მან დაიფიცა, რადაც უნდა დამიჯდეს, თუ ბიჭი შემეძინება, აუცილებლად მოვინახულებო. ქალმა გოგონა გააჩინა, მაგრამ „კა-გე-ბე“ აქაც ჩაერია და ყველას, მათ შორის, ქურდის ცოლსაც უთხრეს, რომ ბიჭი შეეძინა. ბეცი არ გამოჩენილა და სამართალდამცავები მიხვდნენ – მას ინფორმატორი, უშუალოდ, „კა-გე-ბე“-ში ჰყავდა. იმ დონის ქურდი, როგორიც ბეცი იყო, უშიშროებასთან კავშირზე აუცილებლად იქნებოდა.

ფიოდოროვას მკვლელობა საინტერესო სხვა კუთხითაც იყო. წინა დღეს, ის მიღებაზე იმყოფებოდა და სტუმრებს შორის... კვლავ იყო ბურიაცეს გვარი. ანდროპოვმა ამჯერად აღარ მოუსმინა ბრეჟნევს, ბურიაცე დაკითხვაზე დაიბარეს და დააპატიმრეს. საოპერო მომღერალმა აღიარა – ბეცს „ნაკოლი“, სწორედ მან მისცა. უშიშროება ისეთ დონეზე ეძებდა დამნაშავეს, რომ ადვილი მისახვედრი იყო – ის რუსეთს დატოვებდა და ცოტა ხნით, სხვა რესპუბლიკაში წავიდოდა. მისი კვალი ჯერ კიშინიოვში გამოჩნდა, თუმცა უშიშროების მაძებრების ჩასვლის შემდეგ, კვლავ დაიკარგა და აი, შეტყობინება აზერბაიჯანიდან მივიდა – ბეცი ბაქოშია.

„კა-გე-ბე“-ს მაძებრები მაშინვე ბაქოში ჩაფრინდნენ და ბეცის ორი თანამზრახველი დააკავეს. მათ აღიარეს, რომ ბრილიანტი, ერთ-ერთ აზერბაიჯანელ „ცეხავიკს“, ნახევარ მილიონ მანეთად მიჰყიდეს. უშიშროებამ ბრილიანტები ამოიღო, თუმცა ბეცზე ძებნა არ შეწყვეტილა. მისი კვალი თბილისში გამოჩნდა.

„აგენტურული ქსელის ცნობით, თბილისში გამოჩნდა საკავშირო ძებნაში მყოფი, „კანონიერი ქურდი“, ანატოლი ბეცი. ის ადგილობრივ ქურდებს დაემუქრა სტატუსის შეჩერებით, რადგან არ მოეწონა, თუ როგორ მდიდრულად ცხოვრობენ. ბეცმა თბილისში, „კანონიერი ქურდების“ საკავშირო „სხადნიაკი“ დააანონსა და ორ თვეში, საქართველოს დედაქალაქში, ორასამდე ქურდი უნდა შეიკრიბოს. განხილვის მთავარი საკითხი, ქართველი ქურდების უმრავლესობისთვის სტატუსის შეჩერება იქნება“, – ეს დეპეშა ჩვენი დედაქალაქიდან მოსკოვში გაიგზავნა.

სანამ „კა-გე-ბე“ მოსკოვიდან თბილისში დელეგაციას გამოუშვებდა, რუსეთის დედაქალაქში, მორიგი თავხედური ძარცვა მოხდა – ლომების პირველი ქალი მომთვინიერებელი, ლეგენდარული ირინა ბუგრიმოვას სახლი გაქურდეს და ბრილიანტები წაიღეს. ბუგრიმოვამ პირდაპირ თქვა, მის ბრილიანტებს თვალი გალინა ბრეჟნევამ დაადგა და სთხოვა კიდეც, მომყიდეო, შჩოლოკოვის ცოლიც კი მიუგზავნა, მაგრამ ირინამ უარი თქვა. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ეს ქურდობაც ბეცს დაბრალდა და რაც მთავარია, ქართველმა სამართალდამცავებმა ვერ დაადასტურეს, რომ ქურდობის დღეს, ბეცი საქართველოში იმყოფებოდა.

გაჩნდა ვერსია, რომ ის მოსკოვში წავიდა, იქურდა და... კვლავ თბილისში დაბრუნდა. თბილისს რუსული „კა-გე-ბე“-ს კოჰორტა ეწვია, რომელსაც სათავეში, ლეგენდარული გამომძიებელი, ალექსეი სუხარევი ედგა. ქართული მხრიდან, „კა-გე-ბე“-სთან კოორდინაცია, ქართული მილიციის ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ კადრს, რომან გვენცაძეს დაევალა. გვენცაძეს ყველაზე კარგად ჰქონდა აწყობილი აგენტურული ქსელი და, პრაქტიკულად, იცოდა ყველაფერი, რაც კრიმინალურ სამყაროში ხვდებოდა.

არაოფიციალური ინფორმაციით, მას ქართველმა „კანონიერმა ქურდებმა“ უთხრეს, ბეცს თუ მოგვაცილებ, მის ადგილსამყოფელსა და მარშრუტს დეტალებში გეტყვითო. სწორედ აგენტურის მეშვეობით გაირკვა, რომ ბეცი ზესტაფონში აპირებდა წასვლას, სადაც ცნობილ ძმებს – ამირან და ოთარ კვანტრიშვილებს უნდა შეხვედროდა. ბეცი მათთან მეგობრობდა და სავარაუდოდ, მათთან რამდენიმე კვირის გატარება სურდა. კვანტრიშვილები ბეცს თავშესაფარს აუცილებლად მისცემდნენ და რაც მთავარია, ეს თავშესაფარი უსაფრთხო იქნებოდა.

დაიგეგმა სპეცოპერაცია. სამართალდამცავებმა იცოდნენ, რომ ზესტაფონში, ბეცი „ვოლგით“ წავიდოდა, საჭესთან სხვას დასვამდა, თავად კი საბარგულში დაიმალებოდა, ოღონდ საბარგული ისე იყო მოწყობილი, რომ იქ მყოფ კაცს, მარტივად შეეძლო სალონში შესვლა. სპეცოპერაცია რიკოთის უღელტეხილზე დაიგეგმა ანუ იქ, სადაც ავტომობილი დიდ სიჩქარეს ვერანაირად განავითარებდა. ქართული სპეცდანიშნულების რაზმი და რუსული „კა-გე-ბე“-ს 7 გამომძიებელი უღელტეხილზე გამაგრდა. რუსულმა დელეგაციამ ქართულ მხარეს უთხრა, რომ საბარგულისთვის არ უნდა ესროლა და ბეცი აუცილებლად ცოცხლად აეყვანათ. ეს იყო ოფიციალური ბრძანება, რომელსაც ქართველები არ გადაუხვევდნენ.

მოკლედ, დათქმულ დროს, „ვოლგა“ გამოჩნდა. როგორც კი ავტომობილი ჩასაფრების ადგილს გაუსწორდა, სპეცდანიშნულების რაზმმა სროლა სწორედ საბარგულის მიმართულებით დაიწყო. მძღოლმა დამუხრუჭება და მანქანიდან გადმოხტომა მოასწრო, ის იქვე დააკავეს, თუმცა სროლა არ შეწყვეტილა – „ვოლგის“ საბარგული საცერს დაემსგავსა. როცა სპეცრაზმის წევრებმა ორ-ორი მჭიდი დაცალეს, საბარგულს ახადეს და რაღა თქმა უნდა, გარდაცვლილი ბეცი ნახეს.

ოფიციალური დასკვნით, ბეცს ავტომატის 21 და „მაკაროვის“ 2 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. „მაკაროვის“ ტყვიებიდან ერთი – თავში, მეორე კი გულში ჰქონდა ნასროლი ანუ ის ცოცხალი არავის სჭირდებოდა. იმ სპეცოპერაციის დროს, „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი მხოლოდ გვენცაძესა და სუხარევს ჰქონდათ, მაგრამ გვენცაძე, „კა-გე-ბე“-ს გამომძიებლების თანდასწრებით, საკონტროლო გასროლას რომ არ გააკეთებდა, ცხადია.

გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპნენ ბეცის „პადელნიკებიც“. ოფიციალური ვერსიით, ისინი პატიმრებთან ჩხუბის დროს მოკლეს. გალინა ბრეჟნევამ იბრძოლა და იმის მიუხედავად, რომ ბურიაცეს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მოახერხა და ციხიდან მიმაგრებაში გააშვებინა, თუმცა სულ ტყუილად – თავისუფლებაზე მყოფ ბურიაცეს, გათავისუფლებიდან მესამე დღეს, სახლთან ყელი გამოჭრეს. ბრეჟნევის გარდაცვალებისა და თანამდებობიდან შჩოლოკოვის წასვლის შემდეგ, უშიშროების კომიტეტში დასაკითხად, შს მინისტრის მეუღლე, სვეტლანა დაიბარეს. დაკითხვაზე მისვლას, მან თვითმკვლელობა არჩია. გალინა ბრეჟნევასთვის ხელი არ უხლიათ – მამის გარდაცვალების შემდეგ, ის, უბრალოდ, გალოთდა და საფრთხეს აღარ წარმოადგენდა.

ისე, როცა ალექსეი ტოლსტოის ქვრივი ლუდმილა გარდაიცვალა, მთელი მისი ქონება, ანდერძის შესაბამისად, სახელმწიფოს გადაეცა, მაგრამ... გადაცემულ ქონებაში ბრილიანტები ნახსენები არ იყო, ის, უბრალოდ, გაქრა და დღემდე, ოფიციალურად დაკარგულად ითვლება.

ბათო ჯაფარიძე

საუკუნის ქურდობა – როგორ მოიპარეს სახელმწიფო ბანკიდან მილიონნახევარი

საპატარძლოს სახლში დამალული ფული და სიკვდილით დასჯილი ბიძაშვილები

საბჭოთა კავშირის 70-წლიანი ისტორიის განმავლობაში, ხდებოდა დანაშაულები, რომლებიც არა მარტო საბჭოთა კრიმინალისტიკაშია შეტანილი, არამედ, მსოფლიოს მასშტაბით ისწავლება. ადვილი მისახვედრია, მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოში ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებსაც კრიმინალი ხელოვნების დონეზე ჰყავდათ აყვანილი, მათზე ფილმებს იღებდნენ და წიგნებს წერდნენ...

„საუკუნის ქურდობა“ – ასე შევიდა ისტორიაში სომხეთის დედაქალაქში მომხდარი თავხედური ქურდობა. თავხედური იმიტომ, რომ ქურდებმა სახელმწიფო ბანკის ცენტრალური შენობა გაქურდეს, თან დღისით, მზისით და რაც მთავარია, წაიღეს 1.5 მილიონი მანეთი – იმ დროისთვის წარმოუდგენლად დიდი თანხა. ყველაფერი კი ძალიან უცნაურად დაიწყო.

1977 წლის, 8 იანვარი, მოსკოვის ერთ მეტროსადგურში აფეთქება მოხდა. დაახლოებით, ათწუთიანი ინტერვალით, კიდევ ორი აფეთქება მოხდა – ორივე, სასურსათო მაღაზიების გვერდით. იმის მიუხედავად, რომ მოსახლეობაში ხმა დადიოდა, ასობით ადამიანი დაიღუპაო, რეალურად, დაიღუპა 7 და დაიჭრა 37 პირი. იმავე წლის 25 თებერვალს, მოსკოვში, სასტუმრო „როსიაში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად, 42 ადამიანი დაიწვა. ექსპერტიზამ დაადგინა – ხანძარი შეგნებულად გაჩნდა. უშიშროების თანამშრომლებმა ძალიან მოინდომეს და სომხეთის სამი მოქალაქე დააკავეს. ვინმე ზატიკიანი, სტეპანიანი და ბაღდასარიანი. მათ აღიარეს, რომ სომხეთის იატაკქვეშეთში მოქმედი პარტიის წევრები იყვნენ და სომხეთის დამოუკიდებლობისთვის იბროდნენ. მათ, ასევე, აღიარეს აფეთქებაში მონაწილეობა და 25 თებერვლის ხანძარიც. სამართალდამცავები დამშვიდდნენ და ამ დროს, ერევნიდან შეტყობინება მოვიდა, სომხეთის დედაქალაქში, სახელმწიფო ბანკი გაქურდეს, საიდანაც 1.5 მილიონი მანეთი წაიღესო. უშიშროების კომიტეტის თანამშრომელთა თათბირზე გაჟღერდა ვერსია, რომ ძარცვა, მოსკოვში განხორციელებულ აფეთქებებთან იყო კავშირში და ეს თავხედური აქტი იატაკქვეშეთის სხვა წევრებმა ჩაიდინეს.

სამართალდამცავებმა სწორედ ამ მიმართულებით დაიწყეს მუშაობა და ძვირფასი დროც დაკარგეს. ერევანში მოსკოვიდან სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი ჩავიდა, რომელმაც მდგომარეობა ადგილზე შეისწავლა.

„ქურდობა პროფესიონალების მიერ არის განხორციელებული. ისინი საცავში ჭერიდან ჩავიდნენ, მაგრამ ჭერში გახვრეტილი ბეტონის დიამეტრი 34 სანტიმეტრია, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ პატარა ტანის ადამიანი ან ბავშვი თუ გაეტეოდა. რაც მთავარია, სახურავზე მოხვედრა გამორიცხული იყო, უდიდესი ალბათობით, ქურდი გვერდითა სახლის სახურავიდან გადმოხტა და შეხტა ბანკის სახურავზე დატანებულ სარკმელში, რაც ასევე, წარმოუდგენელ ოსტატობას მოითხოვს. ადგილზე, ჩაქუჩთან და ქვის სატეხთან ერთად, ვიპოვეთ ქოლგა, რომელიც ყველა ვარიანტში, ქურდმა მოიტანა, თუმცა მის დანიშნულებას ჯერ ვერ მივხვდით. ვეძებთ პატარა ტანის აკრობატს“, – დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილი გაიგზავნა სომხეთიდან მოსკოვში, თუმცა უშიშროება მთავარს მალავდა – საცავის ქვემოთ, მილიციის ოთახი იყო განთავსებული ანუ წესითა და რიგით, უქმე დღეებში, მილიციის მორიგეებს ხმაური უნდა გაეგოთ, მაგრამ როგორც ამტკიცებდნენ, არაფერი გაუგიათ. ჰოდა, არსებობდა მთავარი ეჭვი – ქურდობაში მილიციის თანამშრომლებიც იყვნენ გარეულნი, თუმცა ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობდა, რათა დამნაშავეები არ დაეფრთხოთ.

იმჟამინდელი კანონების მიხედვით, 10 ათასი მანეთის მოპარვა სიკვდილით ისჯებოდა. ამიტომ, ყველამ იცოდა – ქურდებს თუ დააკავებდნენ, დახვრეტა არ ასცდებოდათ და ეს იმის მიუხედავად, რომ ქურდობის დროს, სახელმწიფოს გარდა, არავინ დაშავებულა.

გაირკვა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – წაღებულ 1.5 მილიონ მანეთში, მილიონზე მეტი, ასმანეთიანები გახლდათ და ყველა ერთი – AE სერიით იწყებოდა. ბანკის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ ამ სერიით, დაახლოებით, ასი ათასი მანეთი უკვე განაწილებული ჰქონდათ სხვადასხვა საამქროში ხელფასებზე, გაიცა ბრძანება, ხელფასების დარიგება შეეჩერებინათ და მაქსიმალურად ამოეღოთ კუპიურები აღნიშნული სერიით. საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ მოპარულის გარდა, მოსახლეობაში, დაახლოებით, 400-მდე ბანკნოტი დარჩა და მათ ყოველ გამოჩენაზე მფლობელს აქტიურად ამუშავებდნენ, თუმცა ქურდს ერთიც არ ჰგავდა.

„დამნაშავეები, მაქსიმუმ, ორ თვეს შეიკავებენ თავს ფულის ხარჯვისგან, შემდეგ კი აუცილებლად გაუჩნდებათ სურვილი, თანხა გამოიყენონ და საამისოდ არა სომხეთს, არამედ, დიდ ქალაქს, ან პირიქით – ყველაზე მიყრუებულ მხარეს აირჩევენ“, – ასეთი იყო უშიშროების ვარაუდი და გამართლდა კიდეც. შეტყობინება ტაშკენტიდან მოვიდა. იქ, ერთ-ერთ სოფელში, ვიღაცამ ცხვრის ფარა იყიდა, შემდეგ იაფად გაყიდა და მართალია, დაახლოებით, ათასი მანეთი იზარალა, მაგრამ საერთო ჯამში, ბრუნვაში, ხუთასი ცალი ასმანეთიანი ანუ 50 ათასი გაუშვა. ადგილობრივებმა აღნიშნული თანხა შემნახველ სალაროში წაიღეს და საქმეც ამის შემდეგ „გასკდა“.

მწყემსებმა ფულის მეპატრონეები ზერელედ აღწერეს, მაგრამ დაბეჯითებით თქვეს, კავკასიელები არიანო.

სამწუხაროდ, სამართალდამცავებმა ფოტორობოტები ვერ შეადგინეს, რადგან მათ ყველა განსხვავებულად აღწერდა. ბოლოს, გაირკვა – ამდენი ასმანეთიანის დანახვამ, ისინი ისე დააბინა, საერთოდ არ ახსოვდათ, რა სახის ადამიანები ელაპარაკებოდნენ... როგორც უშიშროებამ ივარაუდა, ახლა ფულის ხრდჯვის დრო იყო და საამისოდ, მოსკოვი იდეალური ვარიანტი გახლდათ. ამიტომ, ისინი მოსკოვში დაბრუნდნენ და გააფრთხილეს ყველა დიდი რესტორნის მეპატრონე – რაიმე უცნაურობას თუ დაინახავდნენ, აუცილებლად მათთვის ეცნობებინათ. უცნაურობაში კი ფულის ზღვარგადასული ხარჯვა იგულისხმებოდა. დაახლოებით, ერთ კვირაში, ერთ-ერთი რესტორნის მეპატრონემ განაცხადა, რომ საქეიფოდ სომეხი ეროვნების ორი მოქალაქე შევიდა, გოგონებთან ერთად. ერთ-ერთ გოგოს, მაგიდის ქვეშ, ხელიდან მომძვრალი სამაჯური შეუვარდა. ჰოდა, მისმა თანმხლებმა კავალერმა, ასმანეთიანს ცეცხლი მოუკიდა და მაგიდის ქვეშ შეანათა, რათა იაფფასიანი სამაჯური ეპოვა. ეს ლამის მთელმა რესტორანმა დაინახა და ყველა გაოგნდა. გამომძიებლები მიხვდნენ – ეს მათი კლიენტები გახლდნენ, მაგრამ აღწერილობა ვერც რესტორნის მეპატრონემ მისცა. ჩვეულებრივი, ულვაშიანი და გრძელცხვირა სომეხი იყო ერთი, მეორე კი ისეთი ლამაზი, მსახიობს ჰგავდაო.

სხვა რესტორანში, ორი კვირის შემდეგ, იგივე გაიმეორდა, თუმცა ამჯერად, ეროვნებით სომეხმა მოქალაქემ, თავად დააგდო „შემთხვევით“ რაღაც მაგიდის ქვეშ და ასმანეთიანს მოუკიდა. როგორც ჩანს, პირველი ეფექტი იმდენად მოეწონა, გაიმეორა. სამართალდამცავები მოსკოვს ყირაზე ატრიალებდნენ, თუმცა დამნაშავეებს ვერსად პოულობდნენ. ქურდებს ეძებდნენ ადგილობრივი კრიმინალური ავტორიტეტებიც, თუმცა ამაოდ. შედეგი არ მოიტანა რესტორნებში ოპერმუშაკების დატოვებამაც – ამას ადგილობრივმა კადრებმა ვერ გაუძლეს. თითო რესტორანში, მინიმუმ, ორი კაცი უნდა დაეტოვებინათ, რაც არარეალური გახლდათ. ძებნაში ათ თვეზე მეტი გავიდა და კვანძი იმდენად მოულოდნელად გაიხსნა, თავად სამართალდამცავებიც გაოცდნენ: ერთ-ერთ სასურსათო მაღაზიაში, ასაკოვანი ქალი მივიდა და პროდუქტები შეიძინა. იმის მიუხედავად, რომ პროდუქტი, სულ რაღაც 4 მანეთის იყო, ქალმა ასმანეთიანით გადაიხადა, კუპიურა კი სწორედ იმ სერიიდან იყო, რომელიც ერევანში მოიპარეს. მყიდველს მაღაზიის გამყიდველი კარგად იცნობდა, ჩვენს უბანში ცხოვრობსო და ნახევარ საათში, „კა-გე-ბე“ უკვე მის ბინაში იყო.

„რამდენიმე თვეა, ჩემთან ორი მოქალაქე ცხოვრობს, მათ ორი ოთახი იქირავეს, კარგად მიხდიდნენ და დღეს დილით გაემგზავრნენ, ბინა დამიცალესო. ქალმა ისიც გაიხსენა, ტელეფონით ყოველ საღამოს რეკავდნენ და ნომერი, სადაც რეკავდნენ, კედელზე ჰქონდათ მიწერილიო.

სახლის მეპატრონეს კედელზე მიწერილ ნომერზე დაარეკინეს და ათქმევინეს, ჩემთან რომ ორი სომეხი მამაკაცი ცხოვრობდა და დაახლოებით, ორი საათის წინ წავიდნენ, კარადაში ფულის მცირე შეკვრა დარჩათ, მე სხვისი არაფერი მინდა, მოვიდნენ და წაიღონო. სამართალდამცავებს იმედი ჰქონდათ, რომ ქურდები ფულს დახარბდებოდნენ და ჩასაფრება მოაწყვეს. საღამოსკენ, კარზე ახალგაზრდა კაცმა დააკაკუნა, ქალმა გაუღო და მშვიდად თქვა: ესაა.

უიშროების ოპერმუშაკებმა ვინმე ნიკოლაი კალაჩიანი დააკავეს. ორ საათში დააკავეს მისი ალალი ბიძაშვილი, ფელიქს კალაჩიანი და რუსეთის მოქალაქე, ვლადიმერ კუზნეცოვი, რომელიც ნიკოლაი კალაჩიანის საცოლის ძმა გახლდათ.

„ჩემი მეგობარი, ზავენ ბაღდასარიანი ბანკში მუშაობდა და მან მითხრა, იმდენი ფულია საცავში, არც კი დაგესიზმრებაო. შემდეგ საცავის მდებარეობა მითხრა და დავიწყე ბანკის გაქურდვაზე ფიქრი. ჩემი ბიძაშვილი, ფელიქს კალაჩიანი ბავშვობიდან ძალიან მოქნილი იყო. მას ძალიან უჭირდა და ქურდობაზე ადვილად დავითანხმე. სწორედ ის გადახტა მეზობელი სახლის სახურავიდან ბანკის სახურავის სარკმელში, გაეტია 34 სანტიმეტრის დიამეტრის ხვრელშიც, მაგრამ მეტი ფული, უბრალოდ, ვერ წამოიღო, რადგან მძიმე იყო“, – ეს არის ამონარიდი ნიკოლაი კალაჩიანის ჩვენებიდან.

რაღა თქმა უნდა, დააკავეს ბაღდასარიანიც. გაირკვა, რომ ქოლგას თავისი ფუნქცია ჰქონდა. ფელიქს კალაჩიანმა ჯერ მცირე ზომის ნახვრეტი გააკეთა სახურავში, შემდეგ ქოლგა ჩაუშვა და გაშალა, რათა ბეტონის ნამტვრევები მასზე დაცემულიყო და არა – იატაკზე, რადგან ასეთ შემთხვევაში, ხმას ქვედა სართულზე მყოფი მილიციის მუშაკები გაიგებდნენ. შემდეგ, ხვრელში გაძვრა და ფული წამოიღო. რაც ყველაზე საინტერესოა, ის ადგილიდან ტაქსით მიიმალა, უბრალოდ, გამვლელი ტაქსი გააჩერა და... ფულით სავსე ჩანთა ტაქსში დარჩა, მძღოლმა მანქანა დაძრა, ასი მეტრი გაიარა და უკან დაბრუნდა, ჩანთა დაგრჩაო და მიაწოდა. ბიძაშვილებმა 100-100 ათასი მანეთი შავი დღისთვის დამარხეს, დანარჩენით კი მოსკოვის დასაპყრობად წავიდნენ. 10 თვის განმავლობაში, საერთო ჯამში, 120 ათასი მანეთი დახარჯეს, დანარჩენი ფული კალაჩიანის საცოლის სახლში იპოვეს.

სასამართლომ ბიძაშვილებს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა, ქონების კონფისკაციით. ვლადიმერ კუზნეცოვსა და მის დას 6-6 წელი ერგოთ, ბაღდასარიანს 15 წელი აკმარეს.

აღნიშნული საქმე დღემდე რჩება საუკუნის ძარცვად საბჭოთა კავშირის კრიმინალისტიკის ისტორიაში და მას, როგორც პრეცენდენტულს, მომავალ ოპერმუშაკებს, სახელმძღვანელოებიდან ასწავლიან.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 993 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 993 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42 (10)-ე მუხლის შესაბამისად, 92 ფიზიკური და 2 იურიდიული პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42 (11)-ე მუხლის შესაბამისად, 793 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 106 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42 (11)-ე მუხლის შესაბამისად, ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა – ასკ-ის 42 (11)-ე მუხლის შესაბამისად, 40 ლარით დაჯარიმებას ითვალისწინებს.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42 (10)-ე მუხლის შესაბამისად, ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10 000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

პოლიციამ ბათუმში მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლ.კ., განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 9 აპრილს, ბათუმში, ურთიერთშელაპარაკებისას, 1967 წელს დაბადებული ნ.შ., ცივი იარაღის გამოყენებით, ზურგის არეში დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი ქალი სამედიცინო დაწესებულებაში მოათავსეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

პოლიციამ ლ.კ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ბათუმში დააკავა.

ნივთმტკიცების სახით ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა.

განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, გამოძიება საქართველოს სსკ-ის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ ქუთაისში ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1966 წელს დაბადებული ი.ქ., ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ქუთაისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს სხვადასხვა სახის 127 აბი, 20 ცალი კრისტალი, აბის 22 ნატეხი სავარაუდო ნარკოტიკული ნივთიერება.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად, ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და განზრახ უკანონოდ დაკავების ბრალდებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დმანისის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე შ.ზ. დააკავეს.

დანაშაული 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ შ.ზ.-მ ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, ერთ-ერთი მოქალაქე უკანონოდ დააკავა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე და 332-ე მუხლებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ წყნეთში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დაბა წყნეთში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნეს, დაკავებულია 1989 წელს დაბადებული დ.ფ. მას დამამძიმებელ გარემოებაში, ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობა ედება ბრალად. დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 6 აპრილს, დაბა წყნეთში, ოჯახური კონფლიქტის დროს, მამას – 1961 წელს დაბადებულ გ.ფ.-ს, ცემისას სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები მიაყენა, რის შემდეგაც, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, სისხლის ლაქები გაწმინდა და სისხლიანი საოჯახო ნივთები გადამალა. მიყენებული დაზიანებების შედეგად, დაშავებული მამაკაცი საკუთარ საცხოვრებელ სახლში, შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დ.ფ. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში, დაბა წყნეთში დააკავეს.

ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ავტომანქანის დაზიანება სოფელ გამარჯვებაში – შსს-ს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტმა, სოფელ გამარჯვებაში, ერთ-ერთი მოქალაქის კუთვნილი ავტომობილის დაზიანების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყო საგამოძიებო ღონისძიებები. გამოიკითხა ავტომობილის მფლობელი, რომელმაც აღნიშნა, რომ არის ტელეკომპანია „ფორმულას“ მძღოლი. მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით მიმდინარეობს. რაც შეეხება მეორე ფაქტს, რომელზეც ტელეკომპანია „ფორმულა“ საუბრობს, შინაგან საქმეთა სამინისტროში, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, შეტყობინება არ შესულა. ინფორმაციის მიღებისთანავე, უწყება შესაბამის სამართლებრივ რეაგირებას მოახდენს.

შერმადინმა იფრინა

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის მორიგ ტურში, გიორგი შერმადინმა საოცარი შეხვედრა ჩაატარა. მისი „ტენერიფე“ „ესტუდიანტესს“ ხვდებოდა და რადგანაც ტენერიფელები, მომდევნო შეხვედრას მადრიდში, „რეალთან“ ატარებენ, გუნდის თავკაცმა, შერმადინი სასტარტო ხუთეულში არ დააყენა და დასვენების შესაძლებლობა მისცა.

ამის მიუხედავად, ქართველ ცენტრს თამაშის შესაძლებლობა მაინც მისცეს და გიორგიმ 17:24 წუთში 25 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა, მისმა გუნდმა კი 101:77 იმარჯვა. ახლა მთავარი დაპირისპირება წინაა – მესამე ადგილზე მყოფი „ტენერიფე“, მხოლოდ „რეალსა“ და „ბარსელონას“ ჩამორჩება.

ჭანტურიამ კარიერა დაასრულა

რამდენიმე წლის წინ, გიორგი ჭანტურია ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ მთავარ იმედად ითვლებოდა. ის იმდენად ნიჭიერი და გამორჩული გახლდათ, რომ თავისთან, „ბარსელონამ“ წაიყვანა. კატალონიური კლუბის აკადემიაში, ჭანტურია უკანა პოზიციაზე ნამდვილად არ ყოფილა, დამაჯერებლად ირჯებოდა, გოლებიც გაჰქონდა. შემდეგ კი რაღაც შეიცვალა და გიორგი „ბარსადან“ წამოვიდა.

სხვადასხვა დროს, ის ჰოლანდიური „ვიტესის“, რუსული „ურალისა“ და „ალანიას“, რუმინული „კლუჟის“ ღისებას იცავდა. გიორგის საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 15 მატჩი აქვს ჩატარებული და 2 გოლიც გაიტანა. ასაკობრივ ნაკრებებში ის ბევრად შედეგიანი გახლდათ – 29 მატჩში, 14 გოლი.

ამჟამად, ჭანტურია უკლუბოდ იყო, თუმცა ბევრი ამბობდა, რომ მას რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა და კარიერას კვლავ უცხოეთში გააგრძელებდა, თუმცა როგორც გაირკვა, 28 წლის ასაკში, გიორგიმ საფეხბურთო კარიერა დაასრულა. არადა, მას აშკარად შეეძლო, ძალიან დიდი ფეხბურთი ეთამაშა, თუმცა...

სამყარო შეიშალა – მილიონი ევრო კვირაში

დორტმუნდის „ბორუსიას“ ფორვარდი, ერლინგ ჰოლანდი გუნდში ბოლო სეზონს რომ ატარებს, ყველასთვის ცხადია. ტანმაღალი ჰოლანდიელი გრანდების სამიზნეა, თუმცა ის, რასაც ფეხურთელის აგენტი მინო რაიოლა ითხოვს, ძალიან არარეალურად ჩანს. ყველაზე ცნობილი საფეხბურთო აგენტი ამტკიცებს, რომ ჰოლანდი გახდება მსოფლიოში პირველი ფეხბურთელი, რომელიც სუფთა ხელფასის სახით, კვირაში მილიონ ევროს მიიღებს. ასეთი თანხის გადახდა კი საყოველთაო კრიზისის ფონზე, მხოლოდ ორ კლუბს – „მანჩესტერ სიტისა“ და „პსჟ“-ს შეუძლიათ.

„ჰოლანდი კარგი ფეხბურთელია, მას სიამოვნებით დავიმატებდი, მაგრამ მადა, რომელიც მის აგენტს აქვს, წარმოუდგენლად დიდია. მე კლუბის ხელმძღვანელებს ვუთხარი, რომ არ მჭირდება ფეხბურთელი, რომელსაც კვირაში მილიონს გადაუხდიან“, – ეს განცხადება „სიტის“ თავკაცმა, ხოსეპ გვარდიოლამ გააკეთა.

რაც შეეხება „პსჟ“-ს, საფრანგეთში წასვლა თავად ფეხბურთელს არ უნდა და თვალი „ბარსელონასა“ და „რეალისკენ“ უჭირავს. ორივე შემთხვევაში, პრობლემა ხელფასია, რადგან ესპანური გრანდები არ აპირებენ ისეთი ხელფასის გადახდას, როგორიც არც მესის და არც რონალდუს ჰქონიათ. კარგი მონაცემების მიუხედავად, ჰოლანდს დასამტკიცებელი ჯერ ძალიან ბევრი აქვს. ელემენტარულად, მას არცერთი ტიტული არ მოუგია და მხოლოდ პერსპექტიული მოთამაშის სახელით, ჩანაფიქრის მიღწევა გაუჭირდება.

„ელ კლასიკო“ კლასიკურად – წაგება მსაჯის ბრალია

რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, მადრიდის „რეალისა“ და „ბარსელონას“ დაპირისპირება მუდმივად იქნება საფეხბურთო ზეიმი. ასე იყო გასულ უქმეებსაც და როგორც ხდება ხოლმე, წაგებულმა გუნდმა ყველაფერი მსაჯს დააბრალა. ამჯერად კი წაგებული „ბარსელონაა“. რეალურად კი, ზინედინ ზიდანის გუნდი საუცხოო ფორმაშია. „რეალმა“ ყველა ტურნირზე გამართული ბოლო 13 შეხვედრიდან, 11 მოიგო და 2 ფრედ დაასრულა. ახლა ესპანეთის ჩემპიონატის ცხრილის სათავეში „ატლეტიკოა“ – 67 ქულით, 66 ქულა აქვს „რეალს“, ხოლო მესამე პოზიციაზე მყოფმა „ბარსამ“ 65 ქულა მოაგროვა.

ცნობისათვის, ბოლო 43 წლის განმავლობაში, „სამეფო გუნდმა“ პირველად მოახერხა ზედიზედ სამი „ელ კლასიკოს“ მოგება და კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი – 2000 წელს, რობერტო კარლოსმა, „ბარსას“ ჯარიმიდან გაუტანა. მას შემდეგ 21 წელი გავიდა და ჯარიმიდან გატანა მადრიდელებმს მხოლოდ გასულ უქმეებზე შეძლეს. ეს ტონი კროოსმა მოახერხა. რაც შეეხება ლიონელ მესის, ბოლო შვიდ „ელ კლასიკოში“, არგენტინელს არც გოლი გაუტანია და არც საგოლე გადაცემა შეუსრულებია.

ყველაზე თბილი ქვეყანა

რუბენ ჰოვსეფიანი (1939-2016)
ცნობილი სომეხი მწერალი, პროზაიკოსი, დრამატურგი და მთარგმნელი

დაძინებამდე, დედამ ღუმელი ქვანახშირით პირამდე გაავსო, ნაცარი განზრახ ჩატოვა, რომ ცეცხლს დილამდე გაეძლო. ვერ გაძლო. გრძელ, დამუხლულ კვამლსადენს შუაღამის ყინვა და ქარის ღმუილი სახლში შემოჰქონდა, ოთახს უფრო აციებდა, ვიდრე თავად სიცივე. აკანკალებული პაპაჩემი თავის პაპას, პაპის პაპასა და ყველაზე პირველ პაპას ლანძღავდა, ღუმელს უჩიჩხინებდა, რომ ცეცხლი გაეჩაღებინა და აგური გაეთბო, მე კი – თავზე საბანგადაფარებული – ხარხარს ძლივს ვიკავებდი, რადგან იმაზე უფრო სიცილის მომგვრელი სანახაობა რა უნდა ყოფილიყო, ვიდრე თეთრ პერანგსა და ქვედა საცვალში გამოწყობილი მობუზღუნე, მცივანა მოხუცი, რომელიც თავის დიდი ხნის გარდაცვლილ პაპებს ლანძღავდა.

– ვირისთავებო, – ამბობდა ის, – თბილი, მდიდარი, საცხოვრებლად ხელსაყრელი ქვეყნები დატოვეთ და აქ გაჩნდით, შთამომავლობაც აქ შვით, ამ მკაცრზამთრიან მდელოზე. რატომ არ დაფიქრდით, რას ჰგავს თქვენი საქციელი? გემი აგეგოთ, მდინარეები, ზღვები გადაგელახათ და ახალი მიწები გეპოვნათ ან ცხენით, სულაც ფეხით წასულიყავით. სადაც დაიბადეთ, წიწილებიც იქ გამოიყვანეთ. მაშ, ასეთ დიდ ერს, ერთი ჭკვიანი მოგზაური არ უნდა ჰყოლოდა?

– კოლუმბთან ერთად, პაპა, ერთი სომეხი ბერიც იყო, – ვუთხარი მე.

– ის საცოდავი, იმის მაგივრად, რომ კოლუმბს თავად გაძღოლოდა, თვითონ გაჰყვა. არა რაა, შენ რაც გინდა ის თქვი, მე ჩვენს ერს გეოგრაფიის საგანში „ორიანს“ ვუწერ.

პაპამ ღუმელიდან სავსე ტაშტი ნაცარი გამოიღო, ახალი ქვანახშირი შეუკეთა და აგურზე ხელდადებული ელოდებოდა, სითბოს როდის აკრეფდა გამომწვარი თიხა.

– პაპა, – ვუთხარი მე, – ნაზანი წაიყვანე. მართალია, ისე ვერ გაგათბობს, როგორც აგური, მაგრამ აგურივით მაინც არ იყინება.

საბანი გადავიწიე და ჩემს ფეხებთან მოკალათებული მთვლემარე კატა დავანახე.

– მის კრუტუნში დაძინება შეიძლება, რო?

– ძალიანაც კარგად მძინავს.

– ვნახოთ, – პაპა დამთანხმდა და ნაზანი უბეში ჩაიხუტა, – ვცადოთ. ძილში ხომ არ დამჩხაპნის?

– რატომ უნდა დაგჩხაპნოს?

– ვინ იცის, – პაპა მთვლემარე კატასთან ერთად, საბნის ქვეშ შეწვა, – ერთიც ვნახოთ და, ნაზანმა ძილში, სხვა კატებთან ჩხუბი ატეხა.

– მოეფერე, – ვურჩიე მე, – არ შეგეშინდეს, ნაპერწკლებს თუ შენიშნავ. შენ რატომ არ ააგე გემი, მდინარეები, ზღვები რატომ არ გადალახე, ახალი მიწები რატომ არ იპოვნე? ან ცხენით, ფეხით რატომ არ წახვედი? ერთი ციცქნა კუნძული მაინც რომ ყოფილიყო შენს სახელზე.

– მე ვიბრძოდი, – თქვა პაპამ, – მოგზაურობის დრო არ მქონდა.

– ბრძოლით გემოგზაურა.

– ბრძოლით არ მოგზაურობენ, ვირისთავო. ბრძოლით კვდებიან ან ცოცხლობენ. მომაშტერდა...

– დაელაპარაკე, პაპა, თავზე მოეფერე. მაშ ესპანელები, თურქები ბრძოლით როგორ მოგზაურობდნენ?

– შენს მასწავლებელს ჰკითხე. კატას თმები ყალყზე დაუდგა.

– ყურის ქვეშ მოფხანე.

– ვეფხვივით მიღრენს.

– ნაზან, – შევეხმიანე მე, – ჭკვიანად იყავი, ნაზან.

– ვაი... მე შენი პაპის პაპა! – წამოიყვირა პაპამ და საწოლზე წამოჯდა. სიბნელეში, ჰაერში ნაზანის წყვილმა თვალმა გაიელვა, ცოტა ხანში, ეს თვალები უკვე ჩემი საბნის ქვეშ ბრწყინავდნენ. ნაზანი მთელი ტანით კანკალებდა და მოუსვენარი კუდით ფეხებზე მიღიტინებდა.

– ხომ არ დაგჩხაპნა, პაპა?

– სისხლი გამომწოვა, სისხლი... გეგონება, ბევრი სისხლი მქონდეს. სად გაიქცა? შენთან ხომ არ მოვიდა?

– არა, – მოვატყუე მე და გამხეცებულ კატას ფერებით ვამშვიდებდი.

პაპამ ნათურა აანთო, ცოცხს ხელი მოავლო, ღუმელის, საწოლის, კარადის ქვეშ და კუთხეებში მიუსვ-მოუსვა, – სად დაიკარგა, ჰა? სად დაიკარგა ეს უტიფარი მზაკვარი?

– მამა, დაგვაძინე რა, – გვერდითა ოთახიდან მამაჩემის უკმაყოფილო ხმა გაისმა, – შენ დღე გძინავს, ჩვენ კი ღამე დაძინებას არ გვაცლი.

– მოხუცთა თავშესაფარში ჩამაბარეთ და შვებით ამოისუნთქავთ, – ცხვირში ჩაიდუდღუნა პაპამ, – ღამე მშვიდად დაგეძინებათ, დღისითაც ერთი კაცის სამყოფ ულუფას დაზოგავთ. ეგებ, გამდიდრდეთ.

– მოხუცთა თავშესაფარი რა არის, პაპა?

– სახელმწიფო სახლია, თბილი, წყნარი. იქ არც კატაა, არც ძაღლი, მარტო ბებრები არიან. თავის დროზე ჭამენ, საპირფარეშოშიც თავის დროზე დადიან, თავის დროზე იძინებენ და თავის დროზე კვდებიან. კატას შეეხმიანე, გამოვიდეს. შენ მოგისმენს.

– ნაზან, – ჩურჩულით ვეძახი.

– ხმამაღლა, – მიბრძანა პაპამ.

– ფუი! – მამაჩემის ხმა გაისმა, – ეს ხომ სახლი არაა! ჯოჯოხეთის ბაზარია, – ფლოსტების ფრატუნით, ჩვენს ოთახში შემოვიდა და პაპაჩემის წინ დადგა. პირველად შევნიშნე პაპა და მამა ერთმანეთს როგორ ჰგვანან – იგივე მსხვილი ცხვირი, ფართო შუბლი, ფუმფულა თმები და კეთილი თვალები. მარცხენა ყურზე, დაბადებიდანვე გამოზრდილი ბებერაც იგივე ჰქონდათ, რომელიც დღის განმავლობაში, რამდენჯერმე, ხან წითლდებოდა, ხან თეთრდებოდა. ერთი და იგივე თეთრი პერანგ-საცვალი ეცვათ და სიმაღლეც ერთნაირი ჰქონდათ, მაგრამ პაპა უფრო დაბალი მოსჩანდა, რადგან მხრებში ოდნავ მოხრილიყო.

– ნახე! – პაპამ დასისხლიანებული თითი ცხვირწინ დაუტრიალა, – ნახე, რა ქნა ამ უტიფარმა მზაკვარმა.

– მაშ, მე რატომ არ მკბენენ თითზე? – ჰკითხა მამამ.

– შენ რატომ უნდა გიკბინონ? – გაიკვირვა პაპამ, – შენ გვერდითა ოთახში, ცოლთან ერთად არ გეძინა?

– მეძინა და გამაღვიძე. ამხელა კაცი, ბავშვივით ჭყივი.

– თოვლი და ყინვაც მე გამოვიგონე, გაზაფხული რომ იგვიანებს, ამაშიც მე ვარ დამნაშავე. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. მოხუცთა თავშესაფარი... ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. პაპაშენი ვარდაზარი კი უცოდველია, არმენაკიც, ჰოვსეფიც... შენთვის რომ ეკბინა თითზე, შენც იჭყივლებდი...

– ვინ?

– შენ, მეტი ვინ?

– არა, გეკითხები – ვინ? ვის ეკბინა?

– ვინ, ვინ, ვინ... ისევ ძილში ხარ და არ იცი, რას ლაპარაკობ. შავი დღისთვის გადანახული არაყი გექნება, მომიტანე, ჭრილობა დავიმუშაო.

მამა უთქმელად შეტრიალდა და სამზარეულოსკენ წავიდა.

– და ორი ჭიქაც გამოაყოლე, – მიაძახა პაპამ, – კატას შეეხმიანე, ვირისთავო.

– ნაზან, – ოდნავ ხმამაღლა დავიძახე, კატა ფეხებს შორის მოვიმწყვდიე, რომ შემთხვევით, გარეთ არ გამომძვრალიყო და პაპას ხელში არ ჩავარდნოდა. ნაზანისთვის კანკალს უკვე გაევლო, სხეული დაპატარავებოდა, მოშვებულიყო და საცაა, კრუტუნს ამოუშვებდა.

– პაპა, – ფრთხილად ვკითხე, – ნაზანს თუ იპოვი, რას უზამ?

– დანერწყვილ ცხვირ-პირს დავუკოცნი. აბა, შენ რა გეგონა?

– მეგონა, უნდა მიგებეგვა ან გარეთ გაგეგდო.

– მიბეგვა არ აწყენდა, მაგრამ გარეთ როგორ გავაგდებ? დილამდე გარეთ რომ დარჩეს, ძეგლი გახდება. ხომ ნახე, არ ვუთხარი, რომ პური, ყველი და მჟავეც წამოიღე მეთქი. თვითონ მოიფიქრებს?

– მოიფიქრებს, – ვუთხარი, – პირველად ხომ არ არის? მოხარშული ლობიოც გვაქვს და შემწვარი კარტოფილიც.

– მაშინ ადექი, ადექი, – მიბრძანა პაპამ, – ნერწყვის ყლაპვით იხრჩობი და მაინც წევხარ?

ნაზანი რომ არ გამეღვიძებინა, ლოგინიდან ფრთხილად გამოვძვერი, შარვალი, წინდები და ჩუსტები ჩქარ-ჩქარა ჩავიცვი.

ღუმელი უკვე გავარვარებულიყო, ოთახში სითბო იღვრებოდა. კვამლსადენი კვლავ ღმუოდა, მაგრამ ამჯერად, არა ქარისგან, არამედ – ალისგან. ახლა, ალბათ, სახურავზე, გაყინული ბეღურები და ყვავები, სოკოს ფორმის ჩვენს საკვამურს შემოსხდომიან და ყინულივით ცივ და კრიალა ცისკენ სვეტად აღმავალ კვამლში ნაპერწკლებს ითვლიან. ორთქლი ასდის, ალბათ, სახურავსაც, გარგარის, ატმის შიშველ ტოტებს ათბობს და დილამთე თრთვილად იქცევა. დილით კი გამჭვირვალე თრთვილის ქვეშიდან, ხის ფისი აბრჭყვიალდება და ბეღურებს გააგიჟებს.

– პაპა, რატომ არის, რომ ბეღურის ჩანისკარტებული თუთა ყველაზე ტკბილია?

– ბეღურის ნისკარტი თაფლიანია.

მამამ, ღრმა ჭურჭლით, მჟავეში ჩადებული ბლომად კომბოსტო, პომიდორი, კიტრი და წიწაკა მოიტანა, ასევე, მოხარშული ლობიო, ერთი თავი ხახვი, ლავაში, ყველი, არაყი და ორი ჭიქა. მაგიდა გააწყო და ლავაშები ღუმელზე გასაფიცხებლად გადაფინა. ოთახში თონის სურნელი დატრიალდა, მოლურჯო ბოლი ჭერის ქვეშ ღრუბლად გადაიქცა.

– კეთილი დილა გაგვთენებოდეს, – თქვა პაპამ და თავისი წილი არაყი დალია. – სახლში კატაა, – ტუჩების ლოკვით განაგრძო, – სუფთა პირუტყვი. რასაც ჩვენ ვჭამთ, ისიც იმას ჭამს. რაღამ შეაშინა?

მე მჟავე პომიდვრები და კიტრები მოვასუფთავე. მსხვილი, ყვითელი წიწაკები სავსე იყო მჟავე წვენით. წიწაკის ხორციან კანს კბილებით ვჩხვლეტდი, მის მარილიან, მჟავე, მწარე, სურნელოვან წვენს ვსვამდი და ვთვრებოდი იმიტომ, რომ თვრებოდნენ, ასევე, პაპა, მამა. წითური ხახვის თავი, მამამ მუშტის დარტყმით გაჭყლიტა, დააცემინა, მერე მე დავაცემინე, მერე პაპამ და ვიდრე ხახვის სიცხარე ჰაერში დაცურავდა, რიგრიგობით ან ერთდროულად ვაცემინებდით, ვიცრემლებოდით.

– ოხაი! – სიამოვნებისაგან პაპამ მუცელზე ხელი დაიტყაპუნა, – ნაწლავები გამითბა.

– ცხენი მომგვარეთ, – იბღავლა მამამ, – ცხენი მომგვარეთ, რომ გზები დავლაშქრო...

– დაჭედილი, შეკაზმული ცხენი, აგერ, ეზოში ჭიხვინებს, – ამბობს პაპა. – კოლუმბი, მაგელანი, მიკლუხო-მაკლაი, პრჟევალსკი – შენ რომელი ერთი ხარ?

– ეგენი ჭირსაც წაუღია...

– ყოჩაღ! რიგგარეშედ – შენი სადღეგრძელო.

– ისევ გაგიჟდით? – ძლივს გასაგონად გაისმა დედის ხმა.

– ხმა! – დატუქსა პაპამ.

– ხმა! – იღრიალა მამამ და სიმღერა დასცხო, მაგიდის კუთხეზე დოლს უკრავდა. – „მიჯნური ვარ, მიჯნური, მე შენს მკერდზედ ხალი ვარ, დაგიკოცნი ლამაზ ლოყებს, ჩემი გულის ვარდი ხარ“

– „მიჯნური ვარ, მიჯნური...“, – აჰყვა პაპა, – რას დამდგარხარ, ვირისთავო, იცეკვე...

საწოლი ფანჯარასთან მივწიე, ადგილი რომ გათავისუფლებულიყო და ცეკვა დავიწყე. მამა მღეროდა, მაგიდაზე ხელებს ურტყამდა, პაპა ტაშს უკრავდა, შემდეგ ვეღარ მოითმინა და თავადაც საცეკვაოდ გამოვიდა.

– ჰოპ, ჰოპ, ჰოპ!.. – ფრუტუნებდა პაპა, – ეხლა სიხარულისგან მოვკვდები.

– კაცი სიხარულისგან უნდა მოკვდეს, მაშ, როგორ! – დაემოწმა მამა. – დარდისგან კაცის სიკვდილი იქნება? ცხენი მომგვარეთ, ცხენი...

– აი, რა თბილი სახლი გვაქვს, – ამაყად თქვა პაპამ, როცა ოფლმა შუბლი და მკერდი დაუსველა, – შენ კი, ვირისთავო, კუნძული გინდოდა, გემი, თბილი ქვეყნები. ჰოპ, ჰოპ, ჰოპ!..

– თბილი ქვეყნები შენ გინდოდა, – ქოშინით ვუთხარი. – დაგავიწყდა? როგორ ლანძღავდი ვარდაზარს, არმენაკს, ჰოვსეფს.

– ძალიანაც მინდოდა. ძალიანაც ვლანძღავდი. ასაკოვანი ადამიანი ვარ, მეპატიება. შენ რატომღა გინდოდა კუნძული?

– ჩვენი სახლი კუნძული არ არის? – მკითხა მამამ.

– კუნძული რომელია? – ეშხში შევიდა პაპა, – მთელი ქვეყანაა.

– ყველაზე თბილი ქვეყანა, – დაამატა მამამ და ისიც შემოგვიერთდა.

– და ყველაზე მდიდარი, – თქვა პაპამ.

– ნეტაი ჩვენ, რაღა გვიჭირს, – გაისმა დედის ხმა.

– ხმა! – იღრიალა პაპამ.

– ხმა! – იღრიალა მამამ.

ახლა უკვე სამივე ვცეკვავდით – პაპა, მამა, მე. ფეხქვეშ იატაკი ქანაობდა, ველური ცეკვისგან მაგიდა ირყეოდა, ძველი კარადა ჭრიალებდა, არყის ცარიელი ბოთლი დაგორავდა, ახალი დღის სინათლე კი ფანჯრის მინებს მოტმასნოდა და შინ შემოსვლას ვერ ბედავდა.

სომხურიდან თარგმნა გელა გელაშვილმა

მუხრან მაჭავარიანი

12 აპრილს, ქართველ პოეტსა და რუსთაველის პრემიის ლაურეატ მუხრან მაჭავარიანს, 92 წელი შეუსრულდებოდა. მუხრან მაჭავარიანი სოფელ არგვეთში დაიბადა. 1954 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, 1963-1964 წლებში, ჟურნალ „პიონერის“ მთავარი რედაქტორი იყო, 1967-1982 წლებში – ჟურნალ „დილის“, 1982 წლიდან კი – ალმანახ „საუნჯის“ მთავარი რედაქტორი.

პირველი ლექსები 1952 წელს, უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის ყოველწლიურ ალმანახ „პირველ სხივში“ გამოაქვეყნა, ლექსების პირველი წიგნი კი 1955 წელს გამოსცა. 1958 წელს, გამოვიდა პოეტის ორი კრებული – „წითელი მზე და მწვანე ბალახი“ და „სიჩუმე უშენოდ“, რომელიც რუსულად, ევგენი ევტუშენკომ თარგმნა. ამ კრებულისათვის, 1959 წელს, პოეტს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VII მსოფლიო ფესტივალის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

1988-დან 1992 წლამდე, მუხრან მაჭავარიანი საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო. 1990-1991 წლებში კი – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, საარჩევნო ბლოკიდან – „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“. ამასთან, მუხრან მაჭავარიანს ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე. 1999 -2004 წლებში, საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი იყო პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკიდან – „საქართველოს აღორძინება“.

2010 წლის 17 მაისს, თბილისში, რუსთაველის თეატრში, პოეტ ფრიდონ ხალვაშის ოთხმოცდამეხუთე წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე, სიტყვით გამოდიოდა, როდესაც სცენაზე შეუძლოდ გახდა, წაიქცა და გულის შეტევით, თეატრის დიდ სცენაზე გარდაიცვალა.

* * *

სამშობლოს ჩემსას იშვიათად უგრძვნია შვება, –
საყიალოა თავისობას ის რადგან სხვების.
მას დღემდე ბევრი სისაძაგლე შესძინეს სხვებმა; –
იგია, მოკლედ, საკუთარი სიკარგის მსხვერპლი. ...
სულს მივცემ ჩემსას
მე იმას მარტო, –
ვინც საქართველოს
ესწრაფვის ქართულს!
არა ცრუქართულს! –
ნამდვილად ქართულს!
სიტყვითურთ ქართულს! –
საქმითურთ ქართულს!
სულს მივცემ ჩემსას
მე იმას მარტო, –
რომელსაც ვატყობ! –
კოჭებში ვატყობ! –
არის ყველაფრით,
ყოველმხრივ სანდო
და საქართველოს
იმნაირს ნატრობს,
ნატრობს,
როგორსაც
ქართველი
მარტო!
სულს მივცემ ჩემსას
მე იმას მარტო, –
ვინც უწყის:
ტატომ ღაღადჰყო რატომ:
სახელმწიფოთა შორის ერთობას
(ესეც ღვთის ნება არის, ეტყობა!)
სარწმუნოება
არ ჰყოფნის
მარტო!
სულს მივცემ ჩემსას, –
ერთი სიტყვით, –
მე იმას მარტო,
ვინც იცის:
გაჩნდა
ქართველად
რატომ!

ვითარცა მტკვარი

მზე ამოდიოდა,
მთვარე ჩადიოდა,
მამალი ჰყიოდა,
კვამლი ადიოდა,
ვიღაცა ტიროდა,
ვიღაცა ჩიოდა,
ვიღაცას შიოდა,
ვიღაცას სციოდა, _
და
დრო
გადიოდა.
ვითარცა ღვინო _
ქვევრიდან
ხაპში _
ხაპიდან
დოქში _
დოქიდან
ჯამში _
ქართული სისხლი,
ქართული სული,
ქართული სიტყვა,
ქართული გული
გადადიოდა
კაციდან კაცში.
გადადიოდა,
გადადიოდა,
გადადიოდა _
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
ვითარცა მტკვარი.
გზადაგზა სვამდნენ,
ამღვრევდნენ, ღვრიდნენ,
უღმერთოდ ჰრყვნიდნენ,
უგულოდ ჰყიდდნენ.
და...
მიუხედავად ამისა,
მაინც _
გამოიარა რუსთველის გული,
გამოიარა ვახტანგის გული,
გამოიარა თამარის გული,
გამოიარა სულხანის გული...
და დღეს _
შოთაის ნაქონი სისხლით,
და დღეს _
ვახტანგის ნაქონი სისხლით,
და დღეს –
სულხანის ნაქონი სისხლით,
თბილისის ფართო ქუჩებში დადის:
ლეილა,
ლონდა,
ნათია,
ნანი,
ელისო,
ვაჟა,
გიორგი,
გივი
და...
იარონ!
იარონ!
იარონ!
ამინ!

საბა

ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან
ალოდინეს და... მეთხუთმეტე კაცად შევიდა.
ცამეტი ლუდოვიკო კედლიდან იყურება.
ციცას ეფერება ლუი მეთოთხმეტე.
ხალხს ხმა დაუკარგა მეფის სიყრუემ, _
მეფეს ხალხზე უფრო კატა ეცოდება.
ხელმწიფემ საბას ნაუბარი მოისმინა რა:
_ოჰ... ოჰ... ოჰ... ოჰო! – თქვა და თითქოს კიდეც ინანა.
მაგრამ ამითი არაფერი გამოვიდა რა
(საბას ხმა როდი წააგავდა კნავილს კატისას);
რაც შეიტანა, – ისევე ის გამოიტანა
იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ.
– წვიმა არ არი! _
საბას კაბა დაუსველა რამ?!
– თოვლი არ არი! _
საბას თავი გაუთეთრა რამ?!
– ყინვა არ არი! _
სულხან-საბას აკანკალებს რა?
– რამ დაასველა?!
– რამ დაათეთრა?!
– რა აკანკალებს?!
საქართველოა
მისთვის:
წვიმაც,
თოვლიც და ყინვაც!...
... მზე ეთხოვება ალბათ ახლა ტურფა ტანძიას...
ეს სიცხადეა, სულხან-საბავ, თუ ფანტაზია?!
დედის ცრემლები ყაყაჩოს და ბალახებს აწვიმს, _
ალვის ჩეროში სტირის დედა შვილს მოტაცებულს, _
სტამბოლში შვილი დედას სტირის, – ჰყიდიან ყმაწვილს
(სჭვრეტენ ჯვარის წინ წმინდა ნინოს – მუხლზე დაცემულს).
– რამდენს აფასებ მაგ პატარას? – ჰკითხა სპარსულად
საბამ სპარსელს და მოუთმენლად ელოდა პასუხს.
– უი, ქართველი მეგონა და სპარსი ყოფილა! _
წარმოსთქვა ბალღმა, ყური მოჰკრა რა საბას სპარსულს.
– არა პატარავ, ქართველი ვარ, ქართველი, გესმის?!
– უი, დედასთან წამიყვანე, წამიყვან, ძია?...
საბას ცრემლები მოეძალა, – ატირდა კაცი, _
თავის ბალღობა გაახსენდა, თავის ტანძია.
ვით ეს ყმაწვილი – საქართველოც ასე მცირეა,
საქართველოსაც, ვით ამ ყმაწვილს, ასე ჰყიდიან...
საფრანგეთს ვთხოვოთ: გვიშველისო, – სასაცილოა!
შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდია.
ასე ფიქრობდა სულხან-საბა ხელჯოხიანი.
მხარდამხარ საბას ის პაწია ბიჭი მოსდევსდა...
– მოგწყინდა განა უნაყოფოდ, ელჩო, ყიალი?! _
გულს ნუ გაიტეხ! – მუხა კვლავაც შეიმოსება!

შენი სიცოცხლე ...

შენი სიცოცხლე, შენი ნაბიჯი,
მე შემაყვარა შენმა სარკმელმა
მე მიხარია – შენ რომ არსებობ
ვისი ხარ, -
ეს რა ჩემი საქმეა!
შენით თენდება, შენით ღამდება,
შენი ვარ, შენთან მინდა ხელახლა!
შენა ხარ -
რაც მე გამეხარდება!
რაც მეწყინება -
ისიც შენა ხარ!

დედოფალ ელისაბედისა და ედინბურგის ჰერცოგის 74-წლიანი სიყვარული დასრულდა

რუსა ხავთასი

დედოფალ ელისაბედის მეუღლე, პრინცი ფილიპი 9 აპრილს, უინძორის სასახლეში გარდაიცვალა. დიდი ბრიტანეთი, სამეფო ოჯახთან ერთად, ედინბურგის ჰერცოგის გარდაცვალებას გლოვობს და ხალხი ბუკინგემის სასახლესთან ყვავილებითა და სანთლებით მიდის. ედინბურგის ჰერცოგს 17 აპრილს დაკრძალავენ. ცერემონიას ოჯახის წევრები და ახლობლები დაესწრებიან. მათ შორის იქნება პრინცი ჰარი, რომელიც მეუღლესთან, მეგან მარკლთან ერთად, აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად. ორსულობის გამო, მეგან მარკლის ექიმებმა აუკრძალეს დიდ ბრიტანეთში მოგზაურობა, თუმცა გავრცელებული ინფორმაციით, ჰარი აუცილებლად ჩავა ბაბუის დაკრძალვაზე. მანამდე კი გავიხსენოთ პრინცი ფილიპის ძალიან ტრაგიკული, თუმცა საინტერესო და განსაკუთრებული ცხოვრება.

პრინცი ფილიპი, 1921 წლის 10 ივნისს, საბერძნეთისა და დანიის პრინც ენდრიუსა და პრინცესა ელისის ოჯახში დაიბადა. იგი საბერძნეთის ტახტის მემკვიდრეთა რიგში, მეექვსე გახლდათ. მალევე დედამისს, პრინცესა ელისს, ნერვული აშლილობის დიაგნოზი დაუდგინეს და შვეიცარიის სანატორიუმში გაგზავნეს. ფილიპის მამა, პრინცი ენდრიუ კი, რომელიც ჯარში მსახურობდა, ღალატში დაადანაშაულეს და გადაასახლეს.

ამის შემდეგ, პრინცზე მზრუნველობა მამიდებმა და ბიძებმა დაიწყეს. ფილიპი ინგლისის სკოლაში გაგზავნეს, ცოტა ხანში კი გერმანიაშიც გადავიდა საცხოვრებლად, თუმცა მალევე, უკან დაბრუნდა. 16 წლის ასაკში, ფილიპის უფროსი და – სესილია, მეუღლესა და ორ შვილთან ერთად, ავიაკატასტროფაში დაიღუპა, რამდენიმე თვეში კი გამზრდელი ბიძა, ჯორჯ მაუნტბატენი, 46 წლის ასაკში, სიმსივნით გარდაიცვალა.

სკოლის დამთავრების შემდეგ, 18 წლის პრინცი ფილიპი, ბიძის რჩევით, Royal Naval College-ში გაემგზავრა სასწავლებლად, სადაც შორეული ნათესავი, 13 წლის პრინცესა ელისაბედი გაიცნო. ამ დღეს, დარტმუთის საზღვაო კოლეჯს პრინცესა ელისაბედი, მშობლებსა და დასთან ერთად სტუმრობდა. შემდეგ გაიხსენებენ, რომ ელისაბედი პირველივე შეხვედრისას მოიხიბლა ფილიპის გარეგნობით, მისი ცისფერი თვალებითა და ღია ფერის თმით.

მიუხედავად იმისა, რომ ფილიპისა და ელისაბედის სიყვარული ორმხრივი იყო, წყვილის ნიშნობა 8 წლით გაიწელა და 1947 წელს, მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შედგა.

„ყველა პირადული და თუნდაც მსოფლიოს პრობლემები უმნიშვნელოდ და წვრილმანებად გამოიყურება, რადგან ომში ცოცხალი გადავრჩი, ვნახე გამარჯვება, მომეცა დასვენებისა და ყველაფრის თავიდან მოწესრიგების შანსი. შემიყვარდა უზომოდ და უპირობოდ“, – წერდა წერილში ელისაბედს, ფილიპი.

ამავე წლის ნოემბერში, გაერთიანებულ სამეფოში,

პომპეზური საქორწინო ცერემონიალი გაიმართა და სამეფო ჯვრისწერა უესტმინსტერის სააბატოში გაიმართა. ცოტა ხანში, მათი ცხოვრება სრულიად შეიცვალა. 1952 წლის 6 თებერვალს, როდესაც წყვილი ვიზიტით კენიაში იმყოფებოდა, ელისაბედის მამა – ჯორჯ VI გარდაიცვალა და ის ლონდონში არა პრინცესას, არამედ, უკვე დედოფალის სტატუსით დაბრუნდა. ამის შემდეგ, ედინბურგის ჰერცოგი მუდამ მეუღლის გვერდით იდგა და ასე ემსახურებოდა ქვეყანასაც და დედოფალსაც.

დედოფალი მეუღლის გვარზე არ გადასულა. თავდაპირველად ჩანდა, რომ სამეფო ოჯახი მიიღებდა პრინც ფილიპის გვარს – მაუნტბატენს, თუმცა უმეტესობას ერჩია, უინძორის გვარი გაგრძელებულიყო.

„მე ერთადერთი კაცი ვარ ქვეყანაში, რომელსაც არ აქვს უფლება, თავისი გვარი მისცეს საკუთარ შვილებს“, – თქვა მაშინ ფილიპმა.

ცოტა ხანში, უინსტონ ჩერჩილის პრემიერობისა და დედოფლის ბებიის გარდაცვალების შემდეგ, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ეს ორი გვარი გაეერთიანებინათ და წყვილის შვილები ყოფილიყვნენ უინძორ-მაუნტბატენები.

ელისაბედ II-სა და პრინც ფილიპს, 74 წლიანი ქორწინების პერიოდში, 4 შვილი, 8 შვილიშვილი და 8 შვილთაშვილი ჰყავთ. პრინცი ფილიპი ყოველთვის დედოფლის გვერდით იდგა და მუდამ ემსახურეობოდა ქვეყანასაც და სამეფო ოჯახსაც.

ისტორიკოსები ხშირად ამბობენ, რომ დედოფლის, როგორც მონარქის წარმატებაში, ფილიპი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო.

„ის არ იღებს კომპლიმენტებს მარტივად, თუმცა მთელი ამ წლების განმავლობაში, ჩემი ძალა და საყრდენი იყო“, – განაცხადა ელისაბედმა, 1997 წელს.

„ჭკვიანი“ საცურაო კოსტიუმი ფრანგებისგან

ფრანგმა დიზაინერებმა ჭკვიანი საცურაო კოსტიუმი შექმნეს, რომელიც მის პატრონს დაეხმარება, მზისგან დამწვრობა თავიდან აიცილოს. „ბიკინიში“ ჩამონტაჟებულია წყალგაუმტარი ულტრაიისფერი გამოსხივების აღმწერი, რომელიც აფიქსირებს ჰაერის ტემპერატურას და ადარებას მას პატრონის შესახებ ინფორმაციასთან, როგორიცაა, მაგალითად, კანის ტიპი. ამის შემდეგ, საცურაო კოსტიუმი სმარტფონზე მესიჯს უგზავნის გასარუჯად მყოფ პატრონს იმის შესახებ, რომ დროა, მზისგან დამცავი კრემი წაისვას. ავტორები საკუთარ პროდუქტს bikini connecté უწოდებენ. „ჭკვიანი“ საცურაო კოსტიუმი გასაყიდად ცოტა ხნის წინ გამოჩნდა, თუმცა ჯერჯერობით, მხოლოდ სუსტი სქესის წარმომადგენლებისთვის. ახალი საცურაო კოსტიუმის ფასია 149 ევრო.

მწერები დაავადებების წინააღმდეგ

ზოგიერთი ჩეხი მეცნიერის მოსაზრებით, საკვებად მწერების მოხმარება ძალიან სასარგებლოა, რადგან სიმსუქნესთან, დისტროფიასთან, შაქრიან დიაბეტთან და უამრავ სხვა დაავადებასთან ბრძოლაში გვეხმარება. აზიისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, კალიებისა თუ სხვადასხვა მწერებისგან შედგენილი ეგზოტიკური მენიუთი ვერავის გააოცებ. აი, ევროპაში კი, მათ შორის ჩეხეთშიც, ბევრი არაა ისეთი გაბედული, ვინც მწერებს დააგემოვნებს.

„შოკოლადის ვაფლი ფქვილის ჭიებით“, „თურქული ტარაკანი პროვანსალურად“, „ციცინათელა კარამელში“ – ესაა არასრული სია ფეშენებელური რესტორნის „ნოემ არხის“ (ნოეს კიდობანი) მენიუსი, რომელიც ქალაქ ბრნოში მდებარეობს. ეს ერთადერთი ადგილია ჩეხეთში, სადაც მწერების დაგემოვნებას შეძლებთ.

ცნობილია, რომ ადამიანი მწერებს ჯერ კიდევ ქვის ხანაში მიირთმევდა. ევროპაში, მწერების საკვებად გამოყენებას XIX საუკუნეშიც დაუბრუნდნენ. ამჟამად, დაახლოებით, 1500 სახეობის მწერია შესწავლილი, რომლებიც სავსებით ვარგისია საჭმელად. ისინი დიდი რაოდენობით შეიცავენ ვიტამინებს, მინერალურ ნივთიერებს, ამინომჟავებს და რასაკვირველია, ცხოველურ ცხიმებს.

რა მოხდება ინტერნეტის გარეშე?

თუ ერთ მშვენიერ დღეს, ინტერნეტი აღარ იქნება, სოციალური ქსელების მომხმარებელთა 2% აცხადებს, რომ თავს მოიკლავს. ამერიკელმა მეცნიერებმა გამოკითხვა ჩაატარეს იმის გასარკვევად, რას მოიმოქმედებენ ის ადამიანები, რომლებსაც მსოფლიო ქსელის გარეშე ცხოვრება, ერთი წუთითაც არ შეუძლიათ. როგორც აღმოჩნდა, რესპოდენტთა 67% მზადაა, ასეთ შემთხვევაში, საცხოვრებლად ისეთ ადგილას გადავიდეს, სადაც ინტერნეტის პრობლემა არ ექნება. მათთვის Facebook-ი, Twitter-ი და სხვა სოციალური ქსელები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამშობლო და იქ დარჩენილი ახლობლები. გამოკითხულთა 14%-მა განაცხადა, რომ უინტერნეტოდ დეპრესიაში ჩავარდება, 6% აცხადებს, რომ კომპიუტერს მაინც არ მიატოვებს და სოციალური ქსლების ნაცვლად, თამაშებით დაკავდება. გამოკითხულთა 2%-მა განაცხადა, რომ თუ ინტერნეტი აღარ იქნება, სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებს, რადგან ცხოვრება აზრს დაკარგავს. ისინი აცხადებენ, რომ ინტერნეტისა და ვირტუალური ურთიერთობების გარეშე, საკუთარ მომავალს ვერ ხედავენ. გამოკითხვის მიხედვით, პოტენციურ თვითმკვლელთა შორის, უმეტესობა სუსტი სქესის წარმომადგენლები იყვნენ.

წიგნი ტუალეტის ქაღალდზე

მზის ქვეყანაში, ლიტერატურის გავრცელების უჩვეულო და მეტად ორიგინალური ხერხი გამონახეს. მწერლობის პოპულარიზაციის მიზნით, იაპონიის მთავრობამ გადაწყვიტა, საშინელებათა ჟანრის ნაწარმოები, რომელსაც „წვეთი“ ჰქვია, ტუალეტის ქაღალდზე დაბეჭდოს და საექსპორტოდაც გაუშვას. ნაწარმოების ავტორია, ქვეყანაში ცნობილი მწერალი, კოძი სუძუკი. მისი თხზულება 9 თავისგან შედგება, ის ინგლისურადაა ნათარგმი და ტუალეტის ქაღალდის 90-მეტრიან გრაგნილზე ეტევა.

თავდაპირველად, ის საზღვარგარეთ, აეროპორტებსა და სუვენირების მაღაზიებში გაიყიდება, შემდეგ კი მასობრივ გაყიდვაშიც გაუშვებენ. სუძუკის საშინელებათა ჟანრის ნაწარმოებები საკმაოდ პოპულარულია იაპონიაში და მათი მიხედვით, არაერთი ფილმიცაა გადაღებული. ახალი მოთხრობა, ავტორმა სპეციალურად, „ტუალეტის ქაღალდის“ ამ პროექტისთვის დაწერა. იდეის ხელშემწყობი ქვეყნის ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროა. მისი წარმომადგენლების განცხადებით, თხზულებიანი ტუალეტის ქაღალდი, სულ რაღაც, 2.5 დოლარი ეღირება.

ამომრჩევლებთან შეხვედრაზე, კუბოში ჩაწვა

მექსიკაში, დეპუტატობის კანდიდატმა, კარლოს მაიორგამ პერფომანსი მოაწყო და ამომრჩელებთან შეხვედრაზე, კუბოში ჩაწვა. ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, სოციალურ ქსელში „ტვიტერი“, ადგილობრივმა ჟურნალისტმა გაავრცელა. წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, მაიორგამ ქალაქ ხუარესის „დაკრძალვა“ მოაწყო, სადაც „მკვდარი ქალაქის“ როლი თავად შეასრულა და კუბოში ჩაწვა. ამ უჩვეულო ღონისძიებაზე, დეპუტატობის კანდიდატის შტაბის წარმომადგენლები მოსახლეობას ქალაქში არსებულ პრობლემებზე ესაუბრებოდნენ. შეხვედრის ბოლოს, მაიორგა კუბოდან ადგა და ამომრჩევლებს დაპირდა, რომ ქალაქს გააცოცხლებდა.

წვიმას დრონები მოიყვანენ

ამინდზე ზემოქმედების ამ ორიგინალურ მეთოდს დუბაიში გამოსცდიან. ნალექების წლიური ნორმა საემიროებში, დაახლოებით, 100 მილიმეტრია. ასეთი რაოდენობა ქვეყნის საჭიროებებისთვის კატასტროფულად არასაკმარისია. სწორედ ამიტომ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ტენიანობის მისაღებად, მთავრობა სხვადასხვა ზომას მიმართავს. წყლის გამტკნარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარების გარდა, მნიშვნელოვან ინვესტიციებს დებენ ამინდის მართვის პროექტებშიც. ტრადიციული მეთოდებით – მშრალი ყინულითა და ვერცხლის იოდით ღრუბლების გაჩენა, ნალექის რაოდენობას მხოლოდ 30%-ით ზრდის, მაგრამ საკმარისი არ არის.

საემიროების მთავრობამ, ჯერ კიდევ 2017 წელს, 15 მილიონი დოლარი, ამ მიმართულების პერსპექტიული პროექტებისთვის გამოჰყო. ერთ-ერთი მათგანია რედინგის უნივერსიტეტის სწავლულების პროექტი. ბრიტანელი სპეციალისტები, ატმოსფეროში წყლის ორთქლის იონიზაციას უპილოტო საფრენი აპარატებით მოახდენენ. მცირე ელექტრული მუხტების ზემოქმედებით, წყლის მოლეკულები წვეთებად უნდა გადაიქცეს და წვიმად მოვიდეს. ამ მეთოდმა თუ გაამართლა, წვიმის ხელოვნურად მოყვანა გაცილებით იაფი დაუჯდებათ, თან ეკოლოგიურიც იქნება.

სარძლოში ქალიშვილი ამოიცნო

ჩინელმა ქალბატონმა, რომელიც საკუთარი ვაჟის ქორწილში მივიდა, აღმოაჩინა, რომ სარძლო მისი ღვიძლი შვილი იყო. პატარა გოგონა, რომელიც მან 20 წლის წინ, გზის პირას დატოვა და ვეღარ იპოვა, ხელზე დამახასიათებელი ხალით ამოიცნო. ქალმა მომავალ ნათესავებს, პატარძლის მშობლებს ჰკითხა, ქალიშვილი 20 წლის წინ ხომ არ იშვილეს. ცოლ-ქმარი შოკირებული დარჩა ამ შეკითხვით, რადგან წლების განმავლობაში, ამ ამბავს საიდუმლოდ ინახავდნენ – პატარა გოგონა, მართლაც გზის პირას იპოვეს და თან წაიყვანეს. ახალმა ამბავმა პატარძალიც ააღელვა – ბიოლოგიური დედის პოვნით უფრო ბედნიერი ვარ, ვიდრე ქორწილითო. ქორწილი კი მაინც შედგა, რადგან აღმოჩნდა, რომ გოგონას დაკარგვისა და უშედეგოდ ძებნის შემდეგ, ქალმა პატარა ბიჭუნა იშვილა და სიძე-პატარძალი ნათესავები არ აღმოჩნდნენ.

კითხვა სასარგებლოა ორგანიზმისთვის



წიგნების კითხვა მეტად სასარგებლო საქმიანობაა ადამიანის ორგანიზმისთვის, – განაცხადეს ამერიკელმა სწავლულებმა, იალეს უნივერსიტეტიდან. მათ გამოკვლევა ჩაატარეს და დაადგინეს, რომ კითხვა სიცოცხლეს ახანგრძლივებს. მკვლევართა თქმით, ის ადამიანები, რომლებიც წიგნების კითხვას კვირაში 3.5 საათს მაინც უთმობენ, ნაადრევი სიკვდილის რისკს 23%-ით იმცირებენ მათთან შედარებით, რომლებიც საერთოდ არ კითხულობენ.

წიგნები გვიხსნის სტრესისგან, რომლისგანაც იწყება დაავადებათა დაახლოებით 60%, იწვევს ინსულტს და გულსისხლძარღვთა დაავადებებს. გარდა ამისა, კითხვა მეხსიერებასა და კოგნიტურ ფუნქციებსაც ანვითარებს. ამასთან, იმ ადამიანებს, რომლებიც წიგნებს კითხულობენ, კარგადაც სძინავთ, რასაც ვერ ვიტყვით კომპიუტერსა და სმარტფონებს მიჯაჭვულებზე. კითხვა სოციალურ უნარებსაც ანვითარებს – მკითხველები უკეთესად გრძნობენ და ესმით, რას ფიქრობენ სხვები.

საოცნებო ვაკანსია ღვინის მოყვარულებისთვის

ამერიკულმა ღვინის კომპანია Murphy-Goode Winery-მა, კალიფორნიაში, ერთწლიანი ვაკანსია გამოაცხადა. თუ სამუშაოს შემდეგ, ერთი ჭიქა ღვინის მირთმევა ჩვევად გაქვთ, ეს ვაკანსია თქვენთვისაა. ამ უნიკალურ პოზიციაზე, კომპანია ვაკანსიას პერიოდულად, 2009 წლიდან აცხადებს. უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ახალი თანამშრომლის პოზიცია თავიდანვე განსაზღვრული არ არის. თავიდან, ის ჯერ კომპანიის საქმიანობას ეცნობა და არკვევს, მეღვინეობის რომელი ასპექტითაა დაინტერესებული. შემდეგ კი შესაბამის საკითხზე იწყებს მუშაობას. იღბლიანი ადამიანი, რომელსაც კომპანია აარჩევს, არა მხოლოდ მზიან კალიფორნიაში გადავა საცხოვრებლად, არამედ, სრულიად უფასოდ იცხოვრებს ფირმის მიერ დაქირავებულ სახლში და ყოველთვიურად, 10 ათასი დოლარის ოდენობის ხელფასსაც მიიღებს. კანდიდატი მეღვინეობოთ დაინტერესებული, 21 წელს ზემოთ პირი უნდა იყოს, რომელსაც აშშ-ში მუშაობის უფლება აქვს. რეზიუმეს გაგზავნა ივნისის ბოლომდეა შესაძლებელი.

ხელით წერა მეხსიერებას ავითარებს

სწავლულებმა, ნორვეგიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტიდან აღმოაჩინეს, რომ ხელით წერისას, ბავშვის მეხსიერება უფრო მეტად ვითარდება, ვიდრე კლავიატურაზე ტექსტის აკრეფის დროს. კვლევაში 20 ბავშვი და ახალგაზრდა მონაწილეობდა. მათი ტვინის აქტივობას, თავზე სპეციალური ჩაფხუტის მეშვეობით აკვირდებოდნენ. 45 წუთის განმავლობაში, მათი ერთი ნაწილი ტექსტს კლავიატურაზე აწყობდა, დანარჩენები კი ხელით წერდნენ. აღმოჩნდა, რომ სწორედ ხელით წერისას წარმოიქმნება ტვინში ის აქტივობები, რაც მოგონებების ფორმირებისა და შენარჩუნებისთვისაა საჭირო. სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბავშვებს მეტი ინფორმაცია ამახსოვრდებათ, თუ მას ხელით დაწერენ. ამასთან, ტვინი ინტენსიურად იტვირთება და შედეგად, ვითარდება.

იოგურტი კიბოსგან გვიცავს

მკვლევარებმა, ვანდერბილტის უნივერსიტეტიდან, იოგურტში სუპერპროდუქტის თვისებები აღმოაჩინეს. მათ მსოფლიოს მასშტაბით, 1.4 მილიონი ადამიანის მონაცემები შეისწავლეს, რომლითაც დაადგინეს, რომ უჯრედისისა და იოგურტის მოხმარება, ჩვენს ორგანიზმს ფილტვის სიმსივნის განვითარებისგან იცავს. დაკვირვებებმა აჩვენა, რომ ადამიანები, რომლებიც ამ სასარგებლო პროდუქტს ყოველდღე მოიხმარენ, კიბოს რისკისგან 33%-ით უფრო დაცულები არიან, ვიდრე ისინი, რომლებიც იოგურტს საერთოდ არ მიირთმევენ. სწავლულების თქმით, ეს პროდუქტი ონკოლოგიურ რისკებს 19%-ით ამცირებს. ეს ეხება საყლაპავისა და შარდსადენ სისტემებს, ასევე, მსხვილ ნაწლავს. იოგურტი სასარგებლო აღმოჩნდა ჰიპერტონიკებისთვისაც – ის არტერიულ წნევას აწესრიგებს.

მეორად ტანსაცმელში ქონება იპოვა

აშშ-ს ოკლაჰომას შტატში მდებარე საქველმოქმედო მაღაზია Goodwill-ის თანამშრომელმა, რომელიც შემოწირულ ტანსაცმელს ამოწმებდა, ფუთაში, ერთად გადახვეული ჯემპრები ნახა. თავდაპირველად იფიქრა, რომ ტანსაცმელში ასე უბის წიგნაკი იყო გახვეული, თუმცა შემდეგ, კონვერტებში ჩაწყობილი 100-დოლარიანები იპოვა. ქალს კუპიურები ყალბი ეგონა, მაგრამ ისინი ნამდვილი აღმოჩნდა, მთლიანობაში – 42 000. ფულთან ერთად, დოკუმენტებიც იდო, რომლის წყალობითაც, პატრონი მალევე იპოვეს. სოლიდური თანხა პატრონს დაუბრუნდა, მპოვნელმა კი საჩუქრად 1 000 დოლარი მიიღო. მაღაზიის თანამშრომლები ამბობენ, რომ შემოწირულ ტანსაცმელში ფულს რეგულარულად პოულობენ, თუმცა ამხელა თანხა არასდროს აღმოუჩენიათ.

გაკვეთილებს საძოვრებიდან ესწრება

პანდემიის გამო, მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში, ბავშვებს განათლების მიღება დისტანციურად უწევთ. გამონაკლისი არც იტალიელი მოსწავლეები არიან, ერთ-ერთი მათგანი, 10 წლის ფიამეტა მელისია, რომელიც გაკვეთილებს უჩვეულო ადგილიდან – საძოვრებიდან ესწრება. გოგონა ჩრდილოეთ იტალიაში, ტრენტინოს რეგიონში ცხოვრობს და მასწავლებლებსა და თანაკლასელებს მაღალმთიანი საძოვრიდან ერთვება, სადაც მამამისს თხების ფერმა აქვს.

ყოველ დილით, ფიამეტა ვალ-დი-სოლეს საძოვარზე მიდის, სადაც იმპროვიზებულ მერხთან ჯდება, რთავს ნოუთბუქს და გაკვეთილებს ესწრება. მის გარშემო კი ასობით თხა ძოვს. „ფიამეტა ძალიან კარგად სწავლობს და ვეცადეთ, მისთვის კარგი კავშირი შეგვექმნა“, – ამბობს გოგონას მამა. გაკვეთილებს შორის შესვენებისას, ფიამეტა მამას პირუტყვის მოვლაში ეხმარება და ადგილობრივი პეიზაჟების მშვენიერი ფოტოებით, კლასელებსაც ანებივრებს.

პატარძალი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა

კვიპროსზე მცხოვრებმა ქალმა, ქორწილში, მსოფლიოში ყველაზე გრძელი ფატა მოირგო და გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდა. ცნობილია, რომ მარია პარაკევამ, ამ საქორწინო თავსაბურავისთვის, 6 962 მეტრი ქსოვილი დახარჯა. „ბავშვობიდან ვოცნებობდი, რომ ქორწილში ყველაზე გრძელი ფატა მქონოდა და რეკორდსმენი ვყოფილიყავი. ცერემონიისას, 6 საათი და 30 მოხალისე დამჭირდა, ფატა რომ მთელ სიგრძეზე გამეშალა“, – ამბობს ბედნიერი პატარძალი.

კიმ კარდაშიანი მილიარდერი გახდა

ამერიკელი ტელევარსკვლავი, 40 წლის კიმ კარდაშიანი, „ფორბსის“ ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში პირველად მოხვდა. გამოცემის ცნობით, ტელევარსკვლავის ქონება მილიარდი დოლარია. არადა, გასული წლის ოქტომბერში, მისი ქონება 780 მილიონ დოლარს არ აღემატებოდა. რეალითი-შოუებში მონაწილეობისა და სარეკლამო კონტრაქტების გარდა, კარდაშიანის შემოსავლის მთავარი წყარო კოსმეტიკის საკუთარი ბრენდი – KKW Beauty და ქალის თეთრეულის ხაზი – Skims-ია. ჟურნალის ინფორმაციით, რამდენიმე კვირის წინ, კიმმა KKW Beauty-ის აქციების 20%, კოსმეტიკურ გიგანტს – Coty-ს, 200 მილიონ დოლარად მიჰყიდა, რის შემდეგაც, მისი ბიზნესი უკვე მილიარდ დოლარად შეაფასეს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.